For most people, distance learning is still a curiosity, but every year it becomes more and more popular. Today, the turnover of Georgian online education is growing faster. Interestingly, language courses are the most popular of all educational platforms. According to the forecasts of researchers, distance learning will gain momentum in the coming years. As for digital trends, the future of education seems to be gamification and virtual and augmented reality technologies.

Another interesting trend: experts say that more and more people are not in a hurry to complete their studies after receiving a diploma and become “eternal students”. The concept of lifelong learning is now more popular than ever.

Is the level of education falling with distance learning?

If we are talking about education at the inter-

national level, then its quality does not change depending on the format. But the opportunity to study remotely expands the boundaries and allows to get a diploma from European or American institutions without leaving the country and without leaving family and friends.

Scientists come to the conclusion that the effectiveness of learning in an online school is not lower than in a traditional one. Moreover, the online format makes it possible for an individual approach to each student. The teacher monitors the progress and can help in time if necessary. The teacher pays an equal amount of attention to everyone, so all students have an incentive to work.

Conclusion

To sum up, the effectiveness of online learning is very high. Hundreds of courses are offered worldwide. Almost all prestigious universities accept students for online education, master's programs and MBA programs. E-learning is becoming a sophisticated alternative to traditional learning. Its benefits are so compelling that thousands of students prefer online learning to traditional face-to-face classes.

Literature

1. Kotobee (2020): What is Distance Learning, <https://blog.kotobee.com/what-is-distance-learning/>
2. Navarro Mary Clark (2021): How to Build the Foundation of an Accessible Online Course <https://vibe.us/blog/how-to-build-the-foundation-of-an-accessible-online-course/>
3. Smith P. (2021): Best Practices for Distance Learning in 2021 <https://vibe.us/blog/distance-learning-best-practices/>

**ვირტუალური სამყარო –
უსაზღვრო შესაძლებლობები
მასწავლებლებისა და
სტუდენტებისათვის**

რუსუდან გოცირიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
უცხოურ ენათა დეპარტამენტი
კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,
საქართველო
ტელ.: 593 301 342
E-mail.: rusudangotsiridze@gmail.com

რეზიუმე

დისტანციური სწავლება კოვიდ პანდემიამდეც მეტად მნიშვნელოვანი იყო, პანდემიამ კი იგი ცალსახად აუცილებელი გახდა. დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ სწავლების აღნიშნული ფორმა ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილადაც იქცა. სტატიაში განხილულია დისტანციური სწავლების უსაზღვრო შესაძლებლობები და დასახულია გზები მისი შემდგომი სრულყოფისათვის.

საკვანძო სიტყვები:

ონლაინ განათლება, ელექტრონული სწავლება, ვირტუალური სამყარო, სტრატეგიები და მეთოდოლოგიები, ონლაინ წყაროები, სწავლების ახალი მეთოდების შემუშავება.

**Виртуальный мир - бесконечные
возможности для учителей и
учеников**

Гоциридзе Русудан Арчиловна
Грузинский Технический Университет
Департамент иностранных языков
Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел.: 593 301 342
E-mail: rusudangotsiridze@gmail.com

Резюме

Дистанционное обучение было важным еще до пандемии ковид-19, а пандемия сделала его исключительно необходимым. Сегодня можно сказать, что эта форма обучения стала неотъемлемой частью нашей жизни. В статье рассматриваются безграничные возможности дистанционного обучения и намечаются пути его дальнейшего совершенствования.

Ключевые слова:

Онлайн-образование, электронное обучение, виртуальный мир, стратегии и методологии, онлайн-источники, разработка новых методов обучения.

The Role of Metaphor in Our Life

Marina Zoranyan
Georgian Technical University
Department of Foreign Languages
77, Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia
Tel. : 593 783 826
E-mail: marinaziger@gmail.com

Abstract

The article deals with the role of metaphor in our life. A metaphor is an implied or hidden comparison between two things that are unrelated, but which share some common characteristics. It is not just a figure of speech that serves to create imagery and harmony in the text. Metaphor reflects objective reality, evaluates and characterizes it. In other words, it gives rise to a new concept, filling it with special meaning. Lakoff and Johnson have proposed a new cognitive linguistic view of metaphor that is completely different from traditional. They have introduced the Conceptual Metaphor Theory, which has given rise to the notion of conceptual metaphor. Metaphor is a natural phenomenon, pervasive in everyday life, not just in language but in thought and action. It is the indispensable part of our everyday language and thought. Metaphor is a powerful tool for passing message along to the reader to invoke his thoughts, emotions and feelings. It allows us to get better understanding of the concept, object, or character being described when it is compared to an item that is more familiar to us. Metaphors enrich our everyday language.

Keywords:

Conceptual Metaphor Theory, conceptual metaphor, cognitive linguistics, implicit comparison, everyday language, conceptual domain, source domain, target domain.

Introduction

Metaphor is a multifaceted literary device that provides an imaginative way of conveying complex,

unclear, valuable, or creative concepts. It is not just a figure of speech that serves to create imagery and harmony in the text. Metaphor reflects objective reality, evaluates and characterizes it. In other words, it gives rise to a new concept, filling it with special meaning. Metaphors occupy an important place both in art and our everyday life. They help to describe and explain the abstract or unfamiliar concepts via the specific and widespread.

Main Body

The goal of distance learning is the same as that of face-to-face education - to acquire new useful knowledge.

The vision of the ultimate goal should not escape attention when it comes to choosing a distance learning method and how to evaluate its effectiveness: methods should be determined by economic feasibility, and the factors that affect the profitability should be chosen as the object of measurement. Passing a test, for example, is not an end in itself, but an intermediate result in the learning process, which should be aimed at improving skills to the level necessary to successfully complete the tasks.

Thus, the ultimate goal of implementing a distance learning system is to make more profit by using the new skills and knowledge acquired by students [Smith P. 2021]

Online education is an integral part of our reality. The use of different strategies and methodologies, the creation of new materials and new activities in traditional learning do not achieve their goal of creating an ideal way of teaching and learning. Meanwhile, traditional learning is trying to offer new concepts, distance learning is overcoming difficulties and moving forward. However, it is interesting why online learning is more effective than traditional learning.

What makes online learning so attractive?

The answer is obvious. Online learning allows

students to study without moving from their place. Courses and degrees from almost all universities are available online. However, comfort cannot be the only reason for preferring this kind of learning over traditional learning. Several studies claim that online learning provides with at least five times more information than traditional learning. The brain is able to control this amount of information and store it in its database. Our brain's unlimited storage is a good storage for new information. Online learning is an excellent way to meet our intellectual requirements.

Online classes are more fun. The need to be in front of a screen forces students to concentrate more and focus on what is being said and offered. They are unconsciously involved in the learning process and progress better than in traditional learning.

It is believed that games are a progressive source of knowledge. Learning online means using different platforms and other online sources. It improves the learning process and helps students become familiar with new technologies. This practice adds new knowledge and skills and improves learning initiatives. Online learning offers students great opportunities to keep their pace and provides ample opportunities to pay more attention to an individual approach to each student [Navarro M.C. 2021].

The virtual world offers endless possibilities for both teachers and students. Students can adapt each source and platform at their own pace, they can choose from thousands of data and develop their critical thinking. Online learning also gives them the opportunity to choose individual or group lessons. It is also possible to mix them with options.

There is no doubt that online learning is a good alternative to face to face learning. There is no need to waste time getting to the educational institution. Students can flip this time around for more information, study, etc.

Online classes can adapt to students' schedules. Courses or degrees offer a wide variety of schedules and flexible study options. This item is especially attractive for students who have to combine their studies with their work or other activities.

According to scientists, today it is important to invest in the creation of advanced online platforms, interactive online content and the development of new teaching methods. This will increase access to quality education without a significant increase in costs and increase the flexibility of student trajectories. Also, such a measure will help to prepare for various unforeseen situations, such as the coronavirus pandemic, which today is forcing all educational institutions in the world to switch to an online format and teach students remotely. It is important that at the same time it is necessary to maintain the quality of education.

Online learning makes it easy to choose not only a convenient time and place for learning, but students' own pace as well. It is easy to contact the teacher using chat, mail, forum or audio-video communication on the platform for distance learning.

Many shy people find it easier to venture into online courses. They don't even have to use the camera to talk to the teacher.

All the afore-mentioned doesn't mean that distance learning has no disadvantages, e.g. students may lack personal contact with the teacher or other students; it will take them more time to understand the material and tasks during e-learning; some students cannot concentrate during lectures, because there is always a temptation to look at the social network or just close the browser tab.

So what's better anyway? It is impossible to answer this question unambiguously. Since both the first and the second methods of training have a number of significant pluses and minuses, the choice of which format to choose is left to the students.

Online education is built according to the same principles as classical education. Home and class work, interaction with the teacher, grades - everything is the same, but only without desks. The load on students is no less and no more than in a traditional one: they study the same amount as in a traditional school.

Is there really no difference from the traditional system of education? The answer is there is! Here

are some main differences:

Flexible study schedule

Perhaps this is one of the main advantages of an online school.

More opportunities for gifted students

If in a “traditional” school they are forced to study at a common pace for everyone, with online learning they can work at an individual pace, ahead of their classmates.

Comfortable environment for students with disabilities

The correspondence format provides a wider choice of schools, because not all educational institutions provide opportunities for inclusive education.

The development of independence

Students devote more time to self-study using materials developed by professional teachers. Thanks to this, students learn to approach the matter consciously and responsibly, not “under pressure”. These skills will be useful for them in future.

Educational online projects are good first of all because they erase any geographical boundaries. While at home or in the park with a laptop, students can study foreign languages, acquire programming, yoga or gardening skills, learn to embroider or draw, change professions, receive diplomas from international universities or undergo advanced training ... Our students can now enter a foreign school without moving to another country. All this gives freedom of choice, which in the coming decades will become almost limitless!

What are the prospects for online education?

For most people, distance learning is still a curiosity, but every year it becomes more and more popular. Today, the turnover of Georgian online education is growing faster. Interestingly, language courses are the most popular of all educational platforms. According to the forecasts of researchers, distance learning will gain momentum in the coming years. As for digital trends, the future of education seems to be gamification and virtual and augmented reality technologies.

Another interesting trend: experts say that more and more people are not in a hurry to complete their studies after receiving a diploma and become “eternal students”. The concept of lifelong learning is now more popular than ever.

Is the level of education falling with distance learning?

If we are talking about education at the international level, then its quality does not change depending on the format. But the opportunity to study remotely expands the boundaries and allows to get a diploma from European or American institutions without leaving the country and without leaving family and friends.

Scientists come to the conclusion that the effectiveness of learning in an online school is not lower than in a traditional one. Moreover, the online format makes it possible for an individual approach to each student. The teacher monitors the progress and can help in time if necessary. The teacher pays an equal amount of attention to everyone, so all students have an incentive to work.

Conclusion

To sum up, it should be noted that metaphor is a literary device with an active aesthetic function. It is not merely a feature of language but a matter of thought. Writers use metaphors to make their writing more creative and interesting. They try to produce an emotional impact on the reader by evoking vivid images in his mind. Metaphors allow the reader to get better understanding of the concept, object, or character being described by comparing it to an item that is more familiar to the reader. Metaphors are the indispensable part of our everyday language and thought. They enrich our everyday language.

Literature

1. Aristotle (1982, 1932): *Poetics*. (Trans. by W., Hamilton Fyfe). Cambridge, MA: Harvard University Press
2. Aristotle (1954): *Rhetoric*. (Trans. by Rhys Roberts). New York: The Modern Library, Random House
3. Fan L. (2018): Literature Review on the Cognitive Approach to Metaphor. 8th International Congress of Information and Communication Technology. *Procedia Computer Science* Vol 131, 925-928pp.
4. Imre A. (2010): *Metaphors in Cognitive Linguistics*. *Eger Journal of English Studies* X, pp.71–81
5. Katz A., N. (1996): *On Interpreting Statements as Metaphor or Irony: Contextual Heuristics and Cognitive Consequences in Metaphor: Implications and Applications*. Ed. by Jeffery Scott Mio and Albert N. Katz. Mahwah, N. J.: Lawrence Erlbaum Associates, pp.1-22.
6. Kramsch C. (1998): *Language and Culture*. Oxford: Oxford University Press
7. Kovecses Z. (2010): *Metaphor: A Practical Introduction*. 2nd edition. Oxford: Oxford University Press
8. Lakoff G. & Johnson M. (1980, 2003): *Metaphors we live by*. Chicago and London: The University of Chicago Press
9. Ortony A. (Ed.). (1993): *Metaphor and Thought*. 2nd ed. Cambridge: Cambridge University Press
10. Semino E. (2008): *Metaphor in Discourse*. New York: Cambridge University Press
11. Wikipedia (n.d.). *Show, don't tell*. Retrieved July 4, 2020 from https://en.wikipedia.org/wiki/Show,_don%27t_tell

Роль метафоры в нашей жизни

Зоранян Марина Георгиевна
Грузинский технический университет
Департамент иностранных языков
Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел.: 593 783 826
E-mail: marinaziger@gmail.com

Резюме

Статья рассматривает роль метафоры в нашей жизни. Метафора - это подразумеваемое или скрытое сравнение между двумя вещами, которые не связаны, но которые имеют некоторые общие характеристики. Это не просто фигура речи, которая служит для создания образов и гармонии в тексте. Метафора отражает объективную реальность, оценивает и характеризует ее. Другими словами, она порождает новое понятие, наполняя его особым смыслом. Лакофф и Джонсон предложили новый когнитивно-лингвистический взгляд на метафору, который полностью отличается от традиционного. Они ввели теорию концептуальной метафоры, которая породила понятие концептуальной метафоры. Метафора - это естественное явление, распространенное в повседневной жизни не только в языке, но и в мышлении и действии. Она является неотъемлемой частью нашего повседневного языка и мышления. Метафора – мощное средство для передачи сообщения читателю, для того, чтобы вызвать у него мысли, эмоции и чувства. Она позволяет нам лучше понять описываемое понятие, объект или персонаж, когда его сравнивают с предметом, который нам более знаком. Метафоры обогащают наш повседневный язык.

Ключевые слова:

теория концептуальной метафоры, концептуальная метафора, когнитивная лингвистика, имплицитное сравнение, повседневный язык, концептуальная сфера, сфера-источник, сфера-мишень.

მეტაფორის როლი ჩვენს ცხოვრებაში

მარინა ზორანიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უცხოური ენების დეპარტამენტი

კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,

საქართველო

ტელ.: 593 783 826

E-mail: marinaziger@gmail.com

რეზიუმე

სტატია იხილავს მეტაფორის როლს ჩვენს ცხოვრებაში. მეტაფორა არის ნაგულისხმევი ან ფარული შედარება ისეთ ორ საგანს შორის, რომლებიც ერთმანეთთან არ არის დაკავშირებული, მაგრამ რომლებსაც აქვთ საერთო მახასიათებლები. ის არ არის მხოლოდ მეტყველების ფიგურა, რომელიც ემსახურება ტექსტში ხატებისა და ჰარმონიის შექმნას. მეტაფორა ასახავს ობიექტურ რეალობას, აფასებს და ახასიათებს მას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის წარმოშობს ახალ კონცეფციას, ავსებს მას განსაკუთრებული მნიშვნელობით. ლაკოფმა და ჯონსონმა შემოგვთავაზეს ახალი შემეცნებითი ლინგვისტური შეხედულება მეტაფორაზე. მათ შემოიტანეს კონცეპტუალური მეტაფორის თეორია, რამაც წარმოშვა კონცეპტუალური მეტაფორის ცნება.

მეტაფორა ბუნებრივი მოვლენაა, რომელიც გავრცელებულია ყოველდღიურ ცხოვრებაში, არა მარტო ენაში, არამედ აზროვნებაში და მოქმედებაში. იგი ჩვენი ყოველდღიური ენისა და აზროვნების განუყოფელი ნაწილია. მეტაფორა არის მძლავრი ინსტრუმენტი მკითხველისთვის ინფორმაციის გადასაცემად, მისი აზრების, ემოციებისა და გრძობების 'გამოსაძახებლად'. ის საშუალებას

გვაძლევს უკეთესად გავიგოთ აღწერილი ცნების, ობიექტის ან პერსონაჟის არსი, როდესაც მას შევადარებთ ჩვენთვის უფრო ნაცნობ საგანთან. მეტაფორა ამდიდრებს ჩვენს ყოველდღიურ ენას.

საკვანძო სიტყვები:

კონცეპტუალური მეტაფორის თეორია, კონცეპტუალური მეტაფორა, კოგნიტური ლინგვისტიკა, იმპლიციტური შედარება, ყოველდღიური ენა, კონცეპტუალური სფერო, წყაროს სფერო, სამიზნე სფერო.

მხატვრული დისკურსი და მისი თარგმანის თავისებურებები

ია ჩიქვინიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უცხოური ენების დეპარტამენტი

კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,

საქართველო

ტელ. : 551 453 531

E-mail:chikvinidze@gmail.com

რეზიუმე

დისკურსი - ესაა ნებისმიერი ლინგოკულტურული საზოგადოების კომუნიკაციური მარკერი, ხოლო მხატვრული ტექსტის დისკურსი კი ამ მარკერის ანალოგს წარმოადგენს, დატვირთულს ესთეტიკური და ექსპრესიული-ემოციური საკომუნიკაციო ფუნქციით. ურთულეს პროცესს თარგმანში წარმოადგენს მხატვრულ დისკურსში არსებული ენის, პიროვნებისა და ეთნოკულტუროლოგიის პრობლემათა ტრანსპოზიცია. მთარგმნელისთვის აქ თავს იჩენს საკმაოდ პრობლემები. მათ შორის მნიშვნელოვანია ნაციონალური ენობრივი ხატის თანაფარდობა მსოფლიოს სხვა ენებში არსებულ ენობრივ ერთეულებთან.

საკვანძო სიტყვები:

დისკურსი, მხატვრული ტექსტი, კომუნიკაცია, კომუნიკოლოგია, ეთნოკულტუროლოგია.

შესავალი

თანამედროვე კაცობრიობის განვითარება ერთიან რთულ პროცესს წარმოადგენს. XX საუკუნეში, შეიძლება ითქვას, საზოგადოების განვითარებამ საყოველთაო, საერთაშორისო ხასიათი მიიღო.

ასწლეულის განმავლობაში კაცობრიობამ უამრავი ცვლილება განიცადა: შეიცვალა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციები,

ჩამოყალიბდა ახალი ეთნიკური ჯგუფები. სხვადასხვა სისტემებმა და ტრანსფორმაციებმა ძირეულად შეცვალეს ხალხების სულიერი სამყარო, ფსიქოლოგია, ჩვეულებები და ტრადიციები, გემოვნება და ფასეულობები.

სამყაროს გააზრება, მისი ყოველი მოვლენის აღქმა-გაგება თითოეული ინდივიდის თვალსაწიერს მოიცავს, რასაც მისი განათლება, პროფესიის, სოციალური მდგომარეობის თუ პრაქტიკული გამოცდილების საფუძველი განსაზღვრავს. ადამიანთა მსოფლმხედველობა, თვალსაწიერი დღევანდელი გლობალიზაციის ფონზე მეტად ცვალებადია. ის შეიძლება უფრო გავაფართოვოთ, გაგზარდოთ, თუ შევისწავლით და შევიცნობთ კაცობრიობის მდიდარ ნამოღვაწარს კულტურის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ხელოვნების, ლიტერატურის, სამართლის, რელიგიის, ეკონომიკის თუ ტექნიკის დარგში.

ძირითადი ნაწილი

საკმაოდ რთული პროცესია, როცა საქმე ეხება სხვა ეროვნების, სხვა კულტურის სოციუმთან კავშირს, რადგან ყოველი ერი განსხვავებულ ნიშან-თვისებებს ფლობს და გარე სამყაროში მიმდინარე პროცესებს სხვადასხვაგვარად აღიქვამს. თუკი გვსურს სხვა კულტურებთან წარმატებული ურთიერთობების დამყარება, უნდა ვიცნობდეთ მათ მსოფლმხედველობას, აზროვნებასა და მოვლენათა შეფასების სისტემას; ამაში დიდი როლი ენიჭება უცხო ენების ცოდნას, რის საშუალებითაც ვუახლოვდებით ამა თუ იმ ენაზე მოსაუბრე საზოგადოების ცნობიერებას, მენტალობას, აზროვნებასა და ცხოვრების წესს, გარკვეულწილად, მათი ხედვის არეალი განაპირობებს სამყაროს აღქმას, ერთი სიტყვით, მყარდება აქტიური

კომუნიკაციური პროცესი ორ განსხვავებულ სოციუმს შორის. მართალია, კომუნიკაციის ზოგადი განმარტება გულისხმობს ინფორმაციის ურთიერთგაცვლას კომუნიკანტთა (მოსაუბრეთა) შორის იმ ფაქტის გაუთვალისწინებლად, მოყვება თუ არა ამას ურთიერთგაგება, თუმცა კომუნიკაციური ფუნქციის არსი და ძირითადი მიზანი მაინც კომუნიკანტებს შორის ინფორმაციის ოპტიმალური ურთიერთგაცვლაა. ეფექტური კომუნიკაციის განხორციელების მთავარი კომპონენტია ამა თუ იმ შინაარსის პრაგმატიკული მნიშვნელობა, რომელიც განისაზღვრება ენობრივი გამოხატვის საშუალებებით და კომუნიკანტთა დამოკიდებულებით ამ საკითხისადმი. პრაგმატიკული კომპონენტის როლი აიხსნება განსხვავებული ენობრივი კოლექტივების პირადი საზოგადოებრივი და კულტურულ-ისტორიული გამოცდილებით. ასეთ დროს აუცილებელია ყურადღება დაეთმოს ისეთ კომუნიკაციურ ქმედებას, როგორცაა ახსნა-განმარტება ან ამა თუ იმ საკითხის ზედმიწევნითი თარგმანი.

კომუნიკაციის პროცესის გააზრებისთვის აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს მეცნიერების ისეთ დარგზე, როგორცაა ეთნოფსიქოლოგია, რადგან სწორედ ეს მეცნიერება სწავლობს ერის ყოფა-ცხოვრებას, მათ ნივთიერ და სულიერ კულტურას თუ სპეციფიკურ თავისებურებებს. ეთნოფსიქოლოგია ეთნოკულტუროლოგიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ეთნოკულტუროლოგიის პრობლემათა ტრანსპოზიციას, ამა თუ იმ სოციუმის ენისა და პიროვნების მეტყველების ჩვენებას ემსახურება დისკურსი - ანუ ტექსტი, რომელიც მოიცავს ექსტრალინგვისტურ, პრაგმატიკულ, ფსიქოლოგიურ, სოციოკულტურულ თუ ლინგვოკულტურულ ფაქტორებს. მხატვრული დისკურსი ლინგვისტურ-ესთეტიკური, ემოციონალურ-ფსიქოლოგიური ღირებულებების მქონე დასრულებული ტექსტია, რომელიც სხვადასხვა ენობრივ სოციუმში სახეცვლილია და სოციოლინგვისტურ სახესხვაობებს ავლენს.

მხატვრული დისკურსი, თავისი ემოციურ-ესთეტიკური დატვირთვით, სხვადასხვა შემფასებლურ ასპექტებს მოიცავს, ესაა სატირა, ირონია, კომიზმი, ტრაგიზმი და სხვ.

თარგმანი, როგორც ენათაშორისი კომუნიკაციისა და მასობრივ აუდიტორიაზე ზემოქმედების ერთ-ერთი ქვაკუთხედი, ორიგინალში გადმოცემული ემოციურ-შემფასებლური შტრიხების ადეკვატური ანალოგიების მოძიებას ემსახურება. თარგმანის ტექსტში ავტორისეული გრძნობადობის ადეკვატური გადმოტანა ხშირად დიდ სირთულეებს აწყდება, ასეთ დროს, ხშირ შემთხვევაში, თარგმანის ტრანსფორმაციები პერსონაჟთა ან მთლიანად პასაჟის სახეცვლილებას იძლევა, რითაც, რა თქმა უნდა, ირღვევა ავტორისეული საკომუნიკაციო ინტენცია. თარგმანი მოიაზრება როგორც სოციალური მოვლენა, განპირობებული ენასა და საზოგადოებას შორის არაერთგვაროვანი დამოკიდებულებით, შესაბამისად, მთარგმნელისათვის მეტად რთულია, მხატვრული თარგმანის შესრულებისას, ზუსტად და სრულად მოახდინოს დედნისეული ეთნოკულტურული რეალიების ტრანსლირების პროცესი განსხვავებულ ენასა და რეალობაში. თარგმანის შესრულებისას, როცა ორი სრულიად განსხვავებული კულტურა ერწყმის ერთმანეთს, მთარგმნელს ეკისრება კომუნიკაციური კომპეტენტურობა (მასალის ირგვლივ არსებული ღირებულებების ფონური ცოდნა), ასევე, ეროვნულ-ეთნიკურ ჯგუფთა ინდივიდუალური თავისებურებებისა და მათი სოციალური ნიუანსების ცოდნაც.

მხატვრული ნაწარმოებების თარგმანები, როგორც მასობრივი აუდიტორიის ცნობიერებაზე ზემოქმედების საშუალება, პრაგმატიკულ ასპექტში გარკვეულ თავისებურებებს აწყდება. მართალია, თარგმანი ხელს უწყობს განსხვავებულ კულტურათა სოციუმების ან ეთნიკური ჯგუფების ურთიერთგაგებას, თუმცა პიროვნული იდენტიფიცირების, როგორც თავის გარემოს სრულყოფილი წევრის ფაქტორი ყოველ ინდი-

ვიდს საშუალებას აძლევს, მართებულად მიიჩნიოს სოციალური ფასეულობების მისეული გაგება; იგი ეცნობა უცხო კულტურათა ქცევის ნორმებს, ან მოიხსენიებს თავის საზოგადოებაზე, ან უგულებელყოფს მას, რათა შეინარჩუნოს ინდივიდუალურობა.

უცხოენოვანი ლიტერატურის თარგმანის ნათარგმნი ტექსტის კულტურულ სფეროში ჩართვისა და რეციპიენტის მიერ მისი ადეკვატური აღქმის მთავარ განმსაზღვრელად სოციო-ლინგვისტური ფაქტორები გვევლინება. სხვადასხვა სტილისტური ტროპების - მეტაფორების, ჰიპერბოლების, ეპითეტის, შედარების სახეობების წარმოსაჩენად სათარგმნ ენაზე მთარგმნელი მოუხმობს მთელ თავის შემოქმედებით პოტენციალს და ენობრივ ხატოვანებას. ენობრივი მარკერები ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებში მეტად მრავალსახეობრივია, რის გამოც, ეფექტური თარგმანის მისაღწევად, გვსთავაზობს მოვიშველიებთ: „სხვადასხვა ევროპულ ენაში, მაგ. ფრანგულში, ინგლისურში, გერმანულსა თუ ესპანურ-იტალიურში, არსებითი სახელი მოიხმარება მხოლოდ არტიკლთან ერთად, რაც ქართულ ენას არ გააჩნია და ამდენად, თარგმანის განხილვის საგანი უნდა გახდეს სიტყვის ფორმალურ შინაარსობრივი სტრუქტურა, ანუ ის, რაც ასრულებს სიტყვის კომუნიკაციურ ფუნქციას.“ [გ. ლებანიძე 2004].

ადამიანის რეალურ სამყაროსთან კონტაქტი მყარდება მისი ცნობიერებით და ამ მთავარი პოსტულატის გარდა, მისი ფსიქიკა იტევს ასევე ქვეცნობიერს, ანუ არაცნობიერს. გარესამყაროდან შემომავალ ინფორმაციაზე თვით ადამიანი ახდენს გარკვეულ გავლენას, ასევე ის საარსებო გარემოც, რომელიც მის აზრებს მიმართავს განსაზღვრულ ჭრილში. არაცნობიერი მხარე - ესაა ცოდნის მარაგი, დაგროვილი ადამიანის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე.

ცოდნის მარაგი ყოველთვის იზრდება სხვადასხვა ინფორმაციის მიწოდებით, იქნება ეს მასკომუნიკაციის საშუალებები თუ

მხატვრული ლიტერატურა და დიდი ხნით ილექება ადამიანის ქვეცნობიერში. ასეთი ინფორმაცია მაშინ ძლიერდება, თუ ის დატვირთულია ემოციებით, დადებითი ასოციაციებით, ქცევის სახეებითა და შინაარსით, რომელიც კიუნგის მიხედვით, ყოველ ინდივიდს ქვეცნობიერიდან ამოაქვს საჭიროების შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, ადამიანის ცნობიერებაზე ზემოქმედების სამ დონეს გამოვყოფთ:

ა) ადამიანის აზროვნებაში არსებული ნორმების, ფასეულობების, იდეალების გაძლიერება;

ბ) ამა თუ იმ შეხედულებათა მცირედენი ცვლილებები სხვადასხვა მოვლენებზე, რაც ადამიანის პოზიციასა და ემოციონალურ დამოკიდებულებაზე ზემოქმედებს;

გ) ცხოვრებისეულ კანონთა ძირეული, კარდინალური ცვლილებები ახალ მონაცემებზე დაყრდნობით.

უმბერტო ეკო წერს:

„იკითხო ლიტერატურული ტექსტი, ნიშნავს მონაწილეობა მიიღო თამაშში, რომელიც საშუალებას გვაძლევს, აზრი მივანიჭოთ მოვლენათა გაუთავებელ მრავალფეროვნებას, რომელიც მოხდა, ხდება ან კიდევ მოხდება დღევანდელ სამყაროში. ლიტერატურული ტექსტის კითხვისას ჩვენ გაგურბივართ შიშს, რომელიც გვიპყრობს, როცა გვინდა ვთქვათ სიმართლე გარესამყაროზე... ადამიანები არასოდეს მიატოვებენ ლიტერატურული ნაწარმოების კითხვას, რადგან სწორედ მათში ვეძებთ ფორმულას, რომელსაც შეუძლია აზრი მიანიჭოს ჩვენს არსებობას“ [უ.ეკო 2002].

ადამიანის მიერ სამყაროს აღქმაზე მხატვრული ნაწარმოების უშუალო გავლენის სფერო გაცილებით დიდია, ვიდრე სხვა ნაშრომებისა. მხატვრული სახე ერთდროულად კულტურულ-ისტორიული ხსოვნის ან პიროვნულ-ბიოგრაფიული მოგონებების სინთეზია და მწერლის ემოციური აღქმაც განცდები ძალზე ეფექტურ ზემოქმედებას

ახდენს მასობრივ აუდიტორიაზე. რეალობა ყოველი მხატვრული ნაწარმოების დედააზრის გასაღებია, რადგან ის სოციალურ სინამდვილეს ასახავს, მხატვრული სამყარო კი - რეალების გააზრების შედეგი. კულტურა მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტაციის საფუძველია, ის იძლევა ნაწარმოების წასაკითხ და გასაგებ კოდს, კულტურის სფეროს გავლენით იქმნება ყოველი ნაწარმოები და ეყრდნობა განსაზღვრულ კულტურულ ტრადიციებს.

თითოეული მხატვრული ნაწარმოები ყოველთვის უნიკალური და ორიგინალურია. მასში ასახულია მწერლის განუმეორებელი პიროვნება, მისი ბიოგრაფიული შტრიხები, პიროვნული თავისებურებები და ფსიქოლოგია. სოციოლოგიური მიდგომით, ნაწარმოების გავლენის ძალა მკითხველზე და ამ შემოქმედების გავრცელება სხვადასხვა სოციალურ წრეებზე, ცვლის ამ ნაწარმოების არსსა და მნიშვნელობას, ასევე, ფუნქციონალურ დომინანტს. ნაწარმოების აუდიტორიაზე შემოქმედება განპირობებულია ლიტერატურის კრიტიკოსთა ინტერპრეტაციით და შეფასებით, რაც გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცნობიერებაზე. სწორედ მათგან მომდინარეობს ნაწარმოების მხატვრული კონცეფციის შეფასება, მისი შესაბამისობა იმ ღრმაადამიანურ მიზნებთან, რომელიც ესმინება საზოგადოების ფუნდამენტალურ მოთხოვნებს. კომუნიკოლოგია ახალ გზებსა და მიმართულებებს გვისახავს ლიტერატურული კომუნიკაციის განსახორციელებლად. ესაა:

ა) განსხვავებული ენობრივი სოციუმების სულიერ-კულტურული და განსაკუთრებით, ლიტერატურული ცხოვრების ტრადიციათა განხილვა-გაანალიზება და კულტურათაშორისი დისტანციის დაძლევა;

ბ) ორიგინალისა და თარგმანის შეპირისპირება, მწერლის ჟანრულ-სტილისტური მახასიათებლების წარმოჩენა თარგმანში რეპროდუცირების მექანიზმზე დაყრდნობით.

დასკვნა

უცხოენოვანი ლიტერატურული ქმნილებების „ხელახლა შექმნა“ და ამით ეროვნული კულტურის საგანძურის გამდიდრება, ნებისმიერი სოციუმისთვის, დიდადაა დამოკიდებული მათი მთარგმნელობითი ისტორიის მრავალფეროვნებაზე. ენის თავისებურებები კარგად ჩანს თარგმანში, სადაც ერთ მთლიანობაში ექცევა უცხო და მშობლიური ენის თვისობრივად განსხვავებული სტრუქტურები. თარგმანი, როგორც ენათაშორისი კომუნიკაციის სახეობა, მხატვრულია ის თუ ინფორმაციული, ყოველთვის განიხილება სუბიექტურ-გათვალისწინებით. თარგმანის პროცესში კომუნიკაციურ-სიტუაციური ფაქტორები განსაზღვრავენ ნათარგმნი ტექსტის სპეციფიკას.

ლიტერატურა

1. ლებანიძე გ. (2004): კომუნიკაციური ლინგვისტიკა „ენა და კულტურა“. თბილისი
2. საყვარელიძე ნ. (2001): თარგმნის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები. თსუ. თბილისი
3. უმბერტო ეკო (2002): ექვსი გასაღები ლიტერატურულ ტყეებში, გამომცემლობა „სიმპოზიუმი“. მოსკოვი.

Literary Discourse and the Peculiarities of its Translation

Ia Chikvinidze

Georgian Technical University

Department of Foreign Languages

77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia

Tel.: 551 453 531

E-mail:chikvinidze@gmail.com

Abstract

Discourse is the communicative marker of any linguistic-cultural community, while the discourse

of a literary text is an analogue of this marker, which is loaded with aesthetic and expressive-emotional communicative function. The most difficult process in translation is a transposition of the problems of language, personality and ethno-culturalism in literary discourse.

In such a case many problems face the translators. Among these problems one of the most important is the ratio of the national language icon with the language units of other languages of the world.

Keywords:

discourse, literary text, communication, communicationology, ethno-culturology.

Художественный текст и своеобразие его перевода

Чиквинидзе Ия Гиглаевна

Грузинский Технический Университет

Департамент иностранных языков

Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия

Тел.: 551 453 531

E-mail: chikvinidze@gmail.com

Резюме

Дискурс – это коммуникативный маркер любого лингвокультурного общества, а дискурс художественного текста является аналогом этого маркера, нагруженный эстетической и экспрессивно-эмоциональной коммуникативной функцией. Транспозиция проблем языка, индивида или этнокультурологии художественного дискурса – труднейший процесс перевода. Для переводчика тут выявляются множества проблем. Из них самое значительное – соответствие нацио-

нальной языковой иконы с языковыми единицами различных языков мира.

Ключевые слова:

дискурс, художественный текст, коммуникация, коммуникология, этнокультурология. .

დარგობრივი ენების კლასიფიკაცია და ფეხბურთის პროფესიული ენა

რუსუდან თაბუკაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
უცხოური ენების დეპარტამენტი
კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი, საქართველო
ტელ. 593 512 484
E-mail: r.tabukashvili@gmail.com

თეა ბორჩხაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
უცხოური ენების დეპარტამენტი
კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი, საქართველო
ტელ. 599 107 244
E-mail: borchkhadze@yahoo.com

რეზიუმე

ნებისმიერი ენა გარკვეული ფორმით არსებობს. ენას, შესაძლოა ერთი არსებობის ფორმა ჰქონდეს, შეიძლება - რამდენიმე. ენის არსებობის ფორმები - ესაა ისტორიულად ჩამოყალიბებული, ერთმანეთისაგან განსხვავებული ცალკეული სისტემები, რომლებსაც სხვადასხვა საკომუნიკაციო სტატუსი აქვთ. დარგობრივი ენა უამრავ ერთმანეთისაგან განსხვავებულ სფეროს მოიცავს (ხელოვნება, მედიცინა, ტექნიკა, მშენებლობა, სპორტი და ა.შ.).

სპორტის ენა პროფესიული ენაა და სპორტული ჟარგონებისგან შედგება, იგი დარგობრივი ენის ნაწილია, რადგან დარგობრივ ცნებებს მრავალი ადამიანი იყენებს და ისინი ამ ცნებებს განსაზღვრული მიზნითა და ხარისხით, კონკრეტული დოზით ცვლიან ან კონკრეტულ ენობრივ სიტუაციაში გამოიყენებენ, რაც პროფესიული ენისათვისაა დამახასიათებელი. ფეხბურთის ენა, სხვა სპორტის სახეობებთან ერთად, სპორტის დარგობრივი ენის ერთ-ერთი შემადგენელი სპეციალური ენაა, რომელშიც, ისევე როგორც ყველა სპეციალურ ენაში, არაა მკვეთრი

მიჯნა სპეციალურ ენასა და სპეციალურ სლენგს შორის. ფეხბურთის სპეციალური ენა შეიცავს როგორც ზოგადი ენის, ასევე დარგობრივი ენის და ფეხბურთის სპეციალური ენის ტერმინებს, ასევე სლენგსაც, რომლითაც ძირითადად ფეხბურთის გულშემატკივრები და კომენტატორები სარგებლობენ.

საკვანძო სიტყვები:

დარგობრივი ენა, პროფესიული ენა, ქვეენები, LSP ლინგვისტიკა, სპორტული ენა.

შესავალი

ისტორიული განვითარების პროცესში ენის არსებობის ფორმები ჩვეულებრივ იცვლება: არსებობის ერთი ფორმა ენაცვლება მეორეს, ან ერთი ფორმის გვერდით მეორეც მკვიდრდება.

ზოგადი, ანუ საყოველთაო ენა (მას სტანდარტულ ენას, სალიტერატურო ენასაც უწოდებენ) ენის არსებობის ძირითადი და უმნიშვნელოვანესი ფორმაა. იგი მხატვრული ლიტერატურის, კულტურის, მეცნიერების, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის, სკოლის, უმაღლესი სასწავლებლების, ოფიციალური ინსტიტუტების ენაა. ამგვარ პოლიფუნქციურობასთან ერთად მას ახასიათებს უმაღლესი ენობრივი სტატუსიც - იგი დიალექტებსა და სოციალურ ჟარგონებზე ზემდგომი ფორმაა. ამ თვალსაზრისით მას მაღალი საზოგადოებრივი დანიშნულება აქვს [ფლუკი 1996].

დარგობრივი ენა ყველა ენობრივი საშუალებების ერთობლიობაა, რომელიც გამოიყენება განსაზღვრულ დარგობრივ სფეროში, დარგობრივად შემოსაზღვრულ კომუნიკაციის სფეროში, ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებს შორის გაგებინების უზრუნველსაყოფად“ [ფლუკი 1996].

ძირითადი ნაწილი

დარგობრივი ენა ენის ის ფორმაა, რომელიც ემსახურება ენობრივი კომუნიკაციის დამყარებას ამა თუ იმ დარგის ფარგლებში. დარგი, ზოგადად, გაიგება როგორც სფერო, რომელშიც ადამიანმა მიიღო განათლება, რომელშიც იგი სპეციალიზირებულია ანდა სპეციალობის მიხედვით მუშაობს. ამასთან აქ დარგში იგულისხმება არა მხოლოდ სამეცნიერო დისციპლინა, არამედ ასევე მისი გამოყენების სფეროები, მაგ: ტექნიკა, ბიზნესი, მედიცინა, ტრანსპორტი, სახელმწიფო თუ კომუნალური მმართველობა, კულტურული თუ სულიერი ცხოვრება და ა. შ. [ფლუკი 1996].

გამომდინარე იქიდან, რომ დარგობრივი ენა უამრავ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ სფეროს მოიცავს, (ხელოვნება, მედიცინა, ტექნიკა, მშენებლობა და ა.შ.), დარგობრივი ენის განმარტების დროს თავს იჩენს სხვადასხვა სახის სირთულეები. საყოველთაო, უნივერსალური დეფინიცია დარგობრივი ენისა არაა შემუშავებული. ეს გასაგებიცაა, რადგან დარგობრივი ენები მრავალი დისციპლინის კვლევის ობიექტია და ნებისმიერ შემთხვევაში დეფინიციათა მრავალფეროვნებას საფუძვლად უდევს კონკრეტული, განსაზღვრული ასპექტი (კომუნიკაციური, სოციოლოგიური, პრაგმატული) და ამ ასპექტის რელევანტურობა, რომელთანაც შესაბამისობაშია დარგობრივი ენის თითოეული განმარტება.

დარგობრივი ენის ძირითადი ამოცანად ფლუკი მიიჩნევს ენობრივ ნიშანთა მარაგის გამოყენებას გარკვეული ობიექტისა თუ საქმის ვითარების ზუსტი და ლაკონური ფორმით წარმოსაჩენად. აქედან გამომდინარე, იგი თვლის, რომ დარგობრივ ენას როგორც ნიშანთა ერთობლივ სისტემას, “ინსტრუმენტალური” ხასიათი აქვს [ფლუკი 1996].

დარგობრივი ენები სოციალურად სტრუქტურირებადი ენებია და იგი ორ სიბრტყეზე

- ჰორიზონტალურსა და ვერტიკალურზე განეფინება.

დარგთა სრულყოფილი განთავსება ჰორიზონტალურ სიბრტყეზე პრაქტიკულად შეუძლებელია. ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მუდმივად ვითარდება და წარმოიქმნება ახალი სამეცნიერო სფეროები, ხოლო მოძველებული დარგები ქრება ან სხვა სფეროში ინტეგრირდება. დარგობრივი სფეროს მრავალფეროვნების პირობებში შესაბამისად არსებობს ამ დარგის შესაფერისი და მისი სემანტიკური კონცეპტების ადეკვატური დარგობრივი ენებიც. თუმცა ისინი, მაგალითად, ეკონომიკა, იყოფა უამრავ ქვედარგად, როგორებიცაა ბიზნესი, ფინანსები, აუდიტი, საბანკო საქმე და ა.შ. აქედან გამომდინარე, დარგობრივი ენებიც იყოფა ჯგუფებად. საქმე ეხება დარგობრივი ენების განლაგება/განფენას ჰორიზონტალურ ან ვერტიკალურ სიბრტყეზე. ჰორიზონტალური სიბრტყის განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ არსებობს დარგობრივ ენათა იმდენი რაოდენობა, რამდენი დარგობრივი სფეროცაა, ანუ, ენათა და დარგთა რიცხოვანება ადეკვატურ თანაფარდობაშია ერთმანეთთან. მაგ. არსებობს მედიცინის დარგობრივი ენა, ეკონომიკის დარგობრივი ენა, ფიზიკის დარგობრივი ენა, ტექნიკის დარგობრივი ენა და ა.შ. რადგან გლობალიზაციის ფონზე ბევრი ახალი სამეცნიერო სფერო იქმნება, ხოლო ბევრიც ძველდება ან ქრება, შესაბამისად შეუძლებელია დარგობრივი ენების ზუსტი რაოდენობის დადგენა. შეიძლება ითქვას, რომ დარგობრივი ენების რიცხვი მუდმივად ცვლადია და აქედან გამომდინარე, შეუძლებელია მათი ჰორიზონტალურ სიბრტყეზე განლაგებიდან იმის დადგენა, თუ რამდენი დარგობრივი ენა არსებობს დღესდღეობით ან რამდენი არსებობდა და გაქრა. [ფლუკი 1996].

დარგობრივი ენები ჰორიზონტალურ სიბრტყეზე შესაძლოა განფენილ იქნას სამ სფეროში - სამეცნიერო, ტექნიკურ და ინ-

სტიტუციონალურ სფეროებში. შესაბამისად, არსებობს სამი მსხვილი დარგობრივი ენა:

1. სამეცნიერო ენა (მას ასევე უწოდებენ თეორიულ ენასაც)

- სამეცნიერო დარგობრივი სფეროებისა და თეორიების ენა

2. ტექნიკის ენა

- ხელსაწყოებისა და მათი გამოყენების ენა

3. ინსტიტუციების ენა

- ორგანიზაციებს შორის კომუნიკაციის ენა

სამეცნიერო, ტექნიკურ და ინსტიტუციურ ენებთან ერთად არსებობს სხვა დარგობრივი ენებიც, რომლებიც ჰორიზონტალურ სიბრტყეზე ერთმანეთს ემიჯნებიან და სხვადასხვა დარგებს მიეკუთვნებიან. ჰორიზონტალური სიბრტყე განასხვავებს ხელით მომუშავე და მეცნიერებაში მომუშავე ადამიანების ენებს. ჰორიზონტალურ სიბრტყეზე განფენილ ენებს მიეკუთვნებიან:

1. უძველესი წარმოებისა და ხელით მომუშავეთა დარგობრივი ენა (გემთმშენებლობა, ხის დამუშავება, წიგნის ბეჭდვა, ნადირობა და სხვა.)

2. ტექნიკური დარგობრივი ენა და გამოყენებითი მეცნიერების დარგობრივი ენა (მაგ. ელექტროტექნიკა, ინფორმატიკა, რკინიგზის მნიშვნელობა, ტელეკომუნიკაცია)

3. სამეცნიერო დარგობრივი ენა (მაგ. მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, იურიდიული მეცნიერება, ეკონომიკის დარგობრივი ენა, თეოლოგია და ა.შ)

4. ინსტიტუციური ენები (მაგ. პოლიტიკის დარგობრივი ენა, იურიდიული დარგობრივი ენა, მმართველობის ენა). [ფლუკი 1996].

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული სამი დარგობრივი ენის გარდა არსებობს აგრეთვე სხვა დარგობრივი ენებიც, რომლებიც ჰორიზონტალურ სიბრტყეზე განფენებიან. მათ უწოდებენ ქვეენებს, ანუ სუბენებს. ენათა ამგვარი გადანაწილება განაგრძობს ჰორიზონტალურ სიბრტყეზე განლაგებულ დარგობრივ ენებს. ესენია:

- საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებების დარგობრივი ენა

- პროდუქციის, დამზადებისა და სერვისის სექტორის დარგობრივი ენა (იგივეა, რაც ტექნიკისა და ინსტიტუციის ენა)

- სამეცნიერო, ტექნიკის, ბიზნესის ენა

- პროფესიული და სამეცნიერო ენა

- თეორიული (სამეცნიერო) და პრაქტიკული (ყოველდღიური) ენა [(ფლუკი 1996).

ჰოფმანი დარგობრივი ენების ჰორიზონტალურ სიბრტყეზე განფენას მიიჩნევს ღია სივრცედ, რომლის შევსება და განახლება მუდმივად ხორციელდება. [ჰოფმანი 1985].

დარგობრივი ენების განფენა ვერტიკალურ სიბრტყეზე გულისხმობს ცალკეულ დარგში არსებული აბსტრაქციის დონეებს.

ამასთან დაკავშირებული ყველაზე ცნობილი თეორია ჩამოაყალიბეს ჰაინც იშერტიმა და ლოთარ ჰოფმანი.

ჰაინც იშერტი წარმოადგენს დარგობრივი და ენობრივი აბსტრაქციის სამ დონეს:

1. სამეცნიერო ენა (თეორიული ენა)

- წერილობითი კომუნიკაცია სპეციალისტებსა და მკვლევართა შორის

- უმაღლესი აბსტრაქციის დონე

2. დარგობრივი სასაუბრო ენა

- ზეპირი კომუნიკაცია სპეციალისტებს შორის

- საშუალო აბსტრაქციის დონე

3. წარმოების ენა (ტექნიკურ ენასაც უწოდებენ)

- წარმოებაში არსებული წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია

- დაბალი აბსტრაქციის დონე [ჰოფმანი 1985]

ჰოფმანი განასხვავებს აბსტრაქციის ხუთ დონეს :

1. უმაღლესი აბსტრაქციის დონე უჭირავს სამეცნიერო, ანუ თეორიულ ენას

- გამოიყენება მეცნიერთა მიერ

2. ექსპერიმენტული სამეცნიერო ენა

- ხელოვნური სიმბოლოების გამოყენება

3. გამოყენებითი მეცნიერებისა და ტექნიკის ენა

- მარტივი ენა და ჭარბი ტერმინოლოგი-

ზაცია

4. მატერიალური პროდუქციის ენა

- ჭარბი ტერმინოლოგიზაცია

5. საყოველთაო ენა

• ბუნებრივი ენა, ტერმინების ნაკლებობა და უკავშირო ტიპის სინტაქსი. გამოიყენება წარმოებასა და ვაჭრობაში [ჰოფმანი 1985].

დარგობრივი ენა წარმოადგენს დარგობრივი კომუნიკაციის საშუალებას. დარგობრივი ტერმინები და გამოთქმები უზრუნველყოფენ არსებული საგნისა თუ ობიექტის შეცნობას და ამ შეცნობილის გაზიარებას. ამასთან, ენა მეცნიერებაში მიხნეულია კომუნიკაციის წინაპირობად, რომელიც ადამიანებს შორის ურთიერთობას უზრუნველყოფს. დარგობრივი ენა კი ემსახურება ამ ჭეშმარიტების განსაზღვრასა და კლასიფიკაციას [როლკე 2005].

საყოველთაო, ანუ ზოგადი ენა საყოველთაო გაგებინების ფუნქციას ასრულებს და გამოიყენება დარგობრივი ცოდნის აღსაწერად, რადგან საყოველთაო ენის გარეშე დილექტანტისათვის, რომელიც ეუფლება დარგობრივ ენას, ან უბრალოდ დაინტერესებულია დარგობრივი კომუნიკაციით, შეუძლებელი იქნება მიიღოს სასურველი ინფორმაცია ამა თუ იმ დარგობრივი სფეროდან. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ საყოველთაო ენა არის საფუძველი, საიდანაც ვითარდება დარგობრივი ენები [როლკე 2005].

როგორც ცნობილია, ესა თუ ის დარგი და აქედან გამომდინარე, მისი შესაბამისი დარგობრივი ენაც "ვარგისიანია", გამოსაყენებელია რაღაც გარკვეული პერიოდის მანძილზე. თუმცა ამა თუ იმ დარგობრივი ენის ლექსიკა მალე ცვდება, ძველდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც ტევადი და ვრცელია, ვიდრე საყოველთაო ენა. ეს იმით აიხსნება, რომ არსებობს უამრავი დარგი, რომელიც დროთა განმავლობაში ვითარდება. ამიტომ გამოიყენება ტერმინი „დარგობრივი ენები“ და არა - „დარგობრივი ენა“, რადგან არსებობს იმდენი დარგობრივი ენა,

რამდენი დარგიცაა [ფლუკი 1996].

პროფესიული ენების ცნება რამდენადმე უფრო ვიწროა და განისაზღვრება თვით მოლაპარაკე სუბიექტით, მაგ: პოლიტიკოსის ენა, მაგრამ საზოგადოებრივ პროცესებში ჩვეულებრივ ხდება პროფესიული ენობრივი კოდის ცვლა. მაგალითად, ამა თუ იმ პროდუქტის მწარმოებლის პროფესიული ენა განსხვავდება ამ პროდუქტის რეკლამის ენისაგან, რომელიც გათვლილია ამ ენის არმცოდნე ან ნაკლებად მცოდნე მომხმარებელზე [ფლუკი 1996].

სპეციალურ ლიტერატურაში „პროფესიული ენა“ (ინგ. technical language; germ. Berufssprache; ფრანგ. Langue professionnelle) ორი მნიშვნელობით გვხვდება:

1. ენების ტიპები, რომლებიც წარმოიშობა მისი მიკუთვნებადობით განსაზღვრულ პროფესიასთან. (მაგ: მეზღვაურთა ენა, სამხედროთა ენა, სტომატოლოგთა ენა და ა.შ).

2. მოცემული ენის სოციალური დიალექტი, რომელიც იმ პირთა მეტყველების კუთვნილებაა, რომლებიც ერთსა და იმავე პროფესიას წარმოადგენენ. [ნელუბინი 2005].

მეტყველის განმარტებით, პროფესიული ენა განსაზღვრული პროფესიული ჯგუფის ადამიანთა ენაა, მათი დარგობრივი ენაა. პროფესიული ენის ბირთვს ქმნის მისი ტერმინოლოგია. იგი ზოგჯერ მოიცავს ასევე არაფორმალურ ჯგუფურ პროცესებში წარმოქმნილ ენობრივ თავისებურებებს [მეტყველის ენის ლექსიკონი 2005:98]. ხშირ შემთხვევაში პროფესიული ენა სემანტიკურად უახლოვდება, თუმცა არ უტოლდება ისეთ სპეციალურ სახელდებებს, როგორებიცაა: პროფესიული ეარგონი, პროფესიული სლენგი. პროფესიული ენა ლიტერატურაში სოციოლექტის - სოციალურად (პროფესიულად) განპირობებული ტიპის - მნიშვნელობითაც გვხვდება. ამ მნიშვნელობით ის, როგორც წესი, გამოიყენება სოციოლინგვისტიკურ ნაშრომებში. [სკვორცოვი 1972].

სოციოლინგვისტთა შესწავლის ძირითადი ობიექტია პროფესიული ენების სუბ-

სტანდარტული ლექსიკა და აღნიშნული ლექსიკის ფუნქციონირების სოციალური კონტექსტი. ხშირ შემთხვევებში, სოციო-ლინგვისტიკურ ნაშრომებში ვხვდებით ტერ-მინოლოგიური მეტონიმის ფაქტებს, როცა ვარიანტული სიტყვაშეთანხმებებით – პროფესიული ენა/პროფესიული ქვეენა/სუბენა – სახელდება სხვადასხვა ფენომენები, კერძოდ, ენის პროფესიულად განპირობებული ფორმის ფენომენი და ენის ამავე ფორმის სალექსიკონო შემადგენლობის ერთეულები. ანალოგიურ მოვლენას ვხვდებით ფუნქციონალური სტილისტიკის მეტაენაში. ფუნქციონალურ-სტილისტიკური მიდგომა პროფესიული სუბენის/ქვეენის არსის გასაგებად წარმოდგენილია სხვადასხვა ავტორთა შრომებში. [კომაროვა 2004].

ფუნქციონალურ-სტილისტიკური თვალსაზრისით პროფესიული ენა, უპირველეს ყოვლისა, ნაციონალური ენის ერთ-ერთი სუბსისტემაა, რომელიც წარმოდგენილია ვარიანტთა მრავალრიცხოვნებით (სხვადასხვა მეცნიერებების, წარმოებების, ხელოსნობის და ა.შ. სუბენები). ეს თავისებურება, როგორც წესი, არის ცნების “პროფესიული” დამატება, მისი შევსება, სრულყოფა ტერმინოლოგიური ფორმანტით (=აფიქსით) “ქვე”, ან/და “სუბ”: პროფესიული ქვეენა/პროფესიული სუბენა. მაგალითად, სოლნიშკინა პროფესიულ საზღვაო ქვეენას ამგვარად განმარტავს: “ესაა ეთნოსის ენის რეალიზაციის ერთ-ერთი ვარიანტი, ქვესისტემა, მეორადი ენა ზოგად ენასთან მიმართებაში, რომელიც გამოირჩევა მისთვის დამახასიათებელი თეზაურუსით და რომელიც ემსახურება ზღვაოსნობის დარგში ურთიერთობის როგორც ოფიციალურ, ასევე არაოფიციალურ სფეროებს. ცხადია, რომ პროფესიული ქვეენა არაა ენა ამ სიტყვის სრულყოფილი გაგებით, რადგან მხოლოდ პროფესიული ერთეულების გამოყენებით შეუძლებელია აიგოს სრულყოფილი გამონათქვამი. მის შემადგენლობაში არსებული ვოკაბულარი მოიცავს არა ყველა თემას, არამედ იგი

მოიცავს მხოლოდ განსაზღვრულ, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ და აქტუალურ პროფესიულ სფეროებს, რომლებიც ერთმანეთთან კავშირშია იმ მიზნით, რომ მათ უზრუნველყონ ყოფითი საქმიანობები. [სოლნიშკინა 2006].

უახლოეს წარსულში შეიქმნა ახალი დისციპლინა და მისი შესაბამისი მიმართულება ლინგვისტიკაში - ენები სპეციალური მიზნებისათვის და მათი ლინგვისტიკა. (სპეციალური მიზნების ენების ლინგვისტიკა – linguistics languages for special purposes),

მას ხშირად, მოკლედ, LSP ლინგვისტიკას უწოდებენ. ამ დისციპლინის ჩარჩოებში პროფესიულ ენას მიაკუთვნებენ კვაზიტერმინებს, რომლებსაც აქვთ არაერთმნიშვნელოვანი შინაარსი და რომლებიც დამოკიდებულნი არიან მათი გამოყენების კონტექსტზე. ენები სპეციალური მიზნებისათვის, შესაძლოა ლიტერატურაში შეგვხვდეს სინონიმებით “სპეციალური ენა”, “ენის პროფესიული ნაირსახეობა”. საზოგადოებრივი შრომის დანაწევრებას თან სდევს სპეციალური ცოდნის წარმოშობის პროცესი, რომლის კონზუმენტები ცოდნის კონკრეტული დარგის სპეციალისტები არიან. პროფესიული ენები წარმოიშობა საზოგადოებაში პროფესიული ჯგუფების გამოყოფის შედეგად. ფუნქციონალური და სტრუქტურული მიმართულებით სპეციალური ენა რეალიზაციის კონკრეტულ პირობებში შედარებით იოლად იყოფა ცალკეულ პროფესიულ სახესხვაობებად. თითოეული პროფესიული სახესხვაობა მოიცავს სამეცნიერო და პრაქტიკის ენებს (პროფესიული სასაუბრო ენა) [ანენკოვა 2012:13-14].

ტერმინის - პროფესიული ენა - გამოყენების უამრავი კონტექსტის ანალიზმა ცხადყო, რომ იგი გამოიყენება მინიმუმ ხუთი აზრით:

1. ნაციონალური ენის განსაკუთრებული ფორმის აღსანიშნად;
2. სასაუბრო პროფესიული ენის აღსანიშნად;
3. არაკოდირებული პროფესიული

დასახელების ერთიანობის აღსანიშნად;

4. ტერმინის “კონკრეტული სამეცნიერო დარგი” სინონიმად ისეთ სიტყვაშეთანხმებებში, როგორებიცაა, მაგალითად, ქიმიის ქვეენა, მათემატიკის ქვეენა;

5. კოდიფიცირებული და არაკოდიფიცირებული სპეციალური დასახელებების ერთიანობის აღსანიშნად [ფელდე 2015].

მიუხედავად მრავალი მცდელობისა, გამოიწინა ერთმანეთისაგან ტერმინების - პროფესიული ქვეენები/სუბენები და ენები სპეციალური მიზნებისათვის - შინაარსი, ლინგვისტიკები მათ უფრო ხშირად გამოიყენებენ სინონიმებად. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინმცოდნეობაში არსებობს ტრადიცია, აღქმულ იქნას ენა სპეციალური მიზნებისათვის, “როგორც ტერმინოლოგიური ლექსიკის ფუნქციონალური სფერო, რასაც მნიშვნელოვანწილად მიყვართ ტერმინის ფუნქციის შესწავლამდე მისი სამეტყველო რეალიზაციის გზით“ [ტარინოვი 2006].

ფელდე თვლის, რომ პროფესიული ქვეენა (ან სპეციალური) – ზოგადი ენის რეალიზაციის ვარიანტაგან ერთ-ერთია, განსაკუთრებული ფუნქციონალურ-სემიოტიკური ქვესისტემაა, რომელიც გამოიყენება პროფესიული ურთიერთობებისათვის, სპეციალური ცოდნის დაგროვების, სპეციალური ცოდნის გადაცემისა და ინტერპრეტაციისათვის, ასევე პროფესიული სფეროს რეალიზების შეფასებისათვის. პროფესიული ქვეენების, როგორც ზოგადი ენის ვარიანტის გამოყოფის ძირითადი ფაქტორები, როგორც ცნობილია, არის საზოგადოების დანაწევრება [ფელდე 2015].

სპეციალური ქვეენები ემსახურებიან სულიერი და მატერიალური კულტურის ყველა სფეროს, ნაწილობრივ ისინი გამოიყენებიან ასევე ყოფაში.

გამოყენების სფეროებისა და პროფესიული ჩარჩოების მიხედვით განასხვავებენ სამ ჯგუფს:

1. საკუთრივ სპეციალური ქვეენები (პრო-

ფესიული ქვეენები), რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო, საწარმოო (ინდუსტრიული), სახელმწიფო, პროფესიულ-საზოგადოებრივი, სარეკლამო და ინფორმაციული საქმიანობის სფეროებში, ასევე რელიგიის სფეროში პროფესიული საუბრისთვის, დიპლომატიკაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ფინანსებში, მოდის სფეროში, სპორტში და ა.შ.

2. ხელობებისა და ხელოვნობის სპეციალური ქვეენები (კედრის წარმოების ქვეენა, მონადირეთა ქვეენა და ა.შ.).

3. კონ-სუბსტანციონალური სპეციალური ქვეენები, რომლებსაც არ აქვთ მკაფიო საზღვრები ენის სხვა ქვესისტემებთან. ესენია: ტერიტორიალური დიალექტები, მდაბიოთა ენა, ჯგუფური ჟარგონი, კულინარიის ენა, მებაღეობის ენა, ჯარისკაც-კონტრაქტორთა ქვეენა და ა.შ.). ანალოგიურ დაყოფას გვთავაზობს ლეიჩიკი [ლეიჩიკი 2006].

ხელოვნობის პროფესიულ (სპეციალურ) ქვეენათა ნაირსახეობა შესაძლებელია არსებობდეს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით. დომინანტური ფუნქციის, სპეციალური ლექსიკის შერჩევის თავისებურებების, ანუ იმ სიტყვათა და სიტყვაშეთანხმებათა ერთობლიობის მიხედვით, რომლებიც აღნიშნავენ პროფესიონალთა საზოგადოების სპეციფიკურ ცნებებსა და წარმოდგენებს, ასევე პროფესიული ურთიერთობის ამოცანებს, გამოყოფენ პროფესიულ ქვეენათა სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკურ, ოფიციალურ-საქმიან და სასაუბრო სტილს, ასევე გამოყოფენ მათი არსებობის ზეპირ ფორმებსაც: არაოფიციალური პროფესიული მეტყველება, ჟარგონიზირებული პროფესიული მეტყველება, პროფესიული ჟარგონი. სპეციალურ ქვეენათა თითოეული ფორმისათვის დამახასიათებელია ენობრივ ერთეულთა და სინტაქსურ კონსტრუქციათა სპეციფიური ნაკრები [ფელდე 2015].

პროფესიულ (სპეციალურ) ქვეენათა ლექსიკონური შემადგენლობა ფუნქციონალურ-სტილისტიკური თვალსაზრისით იყოფა

ორ ფენად (ფუნქციონალურ რეგისტრად): ზედაფენად (ანუ ნორმის ზონა) და ქვედაფენად (უზუსის ზონა). ზედაფენა - ესაა ტერმინოლოგია, რომლის შემადგენლობაშიც შედის ტერმინო-ლოგიური ლექსიკის განსხვავებული ჯგუფები. სპეციალური ქვეენის ლექსიკონური შემადგენლობის ქვედა რეგისტრი წარმოდგენილია სხვადასხვა ჯგუფის პროფესიული და პროფესიულ-ჟარგონული ლექსიკა [ფელდე 2015].

პროფესიული ჟარგონი, პროფესიული სლენგი განსხვავდება დარგობრივი და პროფესიული ენებისაგან. იგი შედგება სპეციფიკური ფორმებისაგან, რომლებსაც ხმარობენ ამა თუ იმ პროფესიული ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფის წევრები ზეპირ მეტყველებაში, საყოველთაოდ აღიარებულ ტერმინთა ნაცვლად. მაგალითად, "ტუბიკი", ნაცვლად "ტუბერკოლიოზით დაავადებული", "პეპელა", ნაცვლად "ვენაში ჩადგმული სისტემა"(მედიცინის ენა), "მენტი", ნაცვლად "პოლიციელი", "შმონი" ნაცვლად "ჩხრეკა"(პოლიციური ენა).

სპორტის ენა – დარგობრივი ენა

სპორტის ენის კატეგორიზაციის პროცესში ერთნი სპორტის ენას დარგობრივ ენათა კატეგორიას მიაკუთვნებენ, ხოლო სხვანი თვლიან, რომ სპორტის სფეროში ენა შესაძლოა დაიყოს დარგობრივ ჟარგონად და/ან სპეციალურ ენად. დასახელებული სამივე ენა გავლენას ახდენს ერთმანეთზე და ერთმანეთს ავსებს.

სპორტის ენა, შესაძლოა მივაკუთვნოთ დარგობრივ ენებს, რადგან ის სპორტის სახეობებისა და ზოგადად სპორტული პროცესების აღწერისას გამოიყენება. თუმცა ამ ტიპის ახსნა-განმარტების მიუხედავად, შეუძლებელია დადგინდეს, რომ ამ კონკრეტული ენის შემთხვევაში საქმე გვაქვს დარგობრივ ენასთან, რადგან მხოლოდ ერთი ნაწილი აღნიშნული სუბენისა მიეკუთვნება დარგობრივ ენას. თუმცა ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ეხება პროფესიულ ენას, ჟარგონს,

რომელიც სხვადასხვა ფენებად იყოფა. პრინციპი, რომლის მიხედვითაც სპორტის ენა შესაძლოა ჩაითვალოს დარგობრივ ენად, არის ის, რომ მას აქვს ზოგადი დარგობრივი ენის ზოგადი ამოცანების გადატანის უნარი სპორტზე. ამ პროცესს მიეკუთვნება სამი ფუნქცია. პირველი – დესკრიფციული ფუნქცია (საგანთა მიმართებებისა და სპორტული მოვლენების ფიქსირება დარგობრივი ლექსიკით), მეორე ფუნქცია – ინსტრუქციული, - (შესავალი, მაინიცირებელი) – გვაძლევს მითითებებს და რჩევებს და მესამე, - დირექტიული (მოწოდებითი) ფუნქცია (გულისხმობს პირდაპირ მოწოდებას ქმედებისაკენ) [ჰაუბრიხი 1965].

ჰაუბრიხი სპორტის ენაში გულისხმობს დარგობრივ ენას, რომელიც სპორტული ჟარგონისგან შედგება. ენა სპეციალური მიზნებისათვის აქტორების, პროცესების, სპორტული ხელსაწყოებისა და განსაზღვრული ფიზიკური მდგომარეობის გამოსახატავად გამოიყენება. თუ ამ პრინციპზე დაყრდნობით ვიმსჯელებთ, მაშინ ენა, რომელიც ყველა სპორტული დისციპლინისთვის და სპორტის ყველა სფეროსათვის გამოიყენება და მათთვის სპეციფიური და ორგანულია, შესაძლოა დეფინირებულ იქნას როგორც სპორტის ენა. ჰაუბრიხი თვლის, რომ სპორტის ენა არის არსებული სპორტული პოტენციალის და მისი ენობრივ აქტად გადაქცევის შედეგი.

სპორტის ენა – პროფესიული ენა თუ დარგობრივი ენა?

სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი განსხვავებული პიპოთეზა და მოსაზრებაა ტერმინის - სპორტული ენა – დეფინიციათა თაობაზე, რომელთა მრავალფეროვნება გვაფიქრებინებს, რომ ეს პრობლემა ჯერჯერობით ისევ განხილვის საგანია და მისი გადაჭრის საკითხი ისევ ღიაა. სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობისა და მათი განხილვის შედეგად ვთვლით, რომ სპორტის ენა პროფესიული ენაა და იგი დარგობრივი ენის ნაწილია, რადგან დარგობრივი ცნე-

ბებს მრავალი ადამიანი იყენებს და ისინი ამ ცნებებს განსაზღვრული მიზნითა და ხარისხით, კონკრეტული დოზით ცვლიან ან კონკრეტულ ენობრივ სიტუაციაში გამოიყენებენ, რაც პროფესიული ენისათვისაა დამახასიათებელი.

დანკერტის კვლევა სპორტის ენის შესახებ ითვალისწინებს სპორტის დარგობრივ ენათა სისტემაში ფეხბურთის სპეციალური ენის გამოყოფას და ამ ენის ფარგლებში რამდენიმე ასპექტის გამიჯვნას ერთმანეთისაგან. დანკერტის კვლევების მიხედვით, სპორტის ენა სამი დარგის კომპილაციის შედეგია, ესენია: სპორტისა და მისი თამაშის წესების ენა, სპორტული ქარგონი და სპორტული კორესპონდენციის ენა [Dankert 1969].

ფეხბურთის ენა

ფეხბურთის ენაში მოიაზრება სპეციალური გამოთქმები, რომლებსაც ის ადამიანები გამოიყენებენ, რომლებიც ამა თუ იმ სახით კავშირში არიან ფეხბურთთან [იქვე, 567].

ფეხბურთის სპეციალური ენისათვის დამახასიათებელია სპეციფიური დარგობრივი ლექსიკა და ზოგადი ენის ლექსიკური და გრამატიკული საშუალებების შერჩევისა და მათი გამოყენების სიხშირის სპეციალური ნორმები.

უპირველესი საკითხი, რომელიც ყურადღებას იპყრობს გერმანული ენის სისტემაში ფეხბურთის ენის კვლევის დროს, არის ის, თუ რომელ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება იგი – საყოველთაო ენას, სპორტულ დარგობრივ ენას თუ სპეციალური ენას. თუ მივიჩნევთ, რომ ფეხბურთის ენას როგორც თავად სპორტსმენები, ასევე სპორტის მოყვარულებიც აქტიურად გამოიყენებენ, რომ ეს ენა არა მხოლოდ დარგობრივ სფეროში, არამედ ყოველდღიურობაშიც აქტიურად გამოიყენება, მაშინ, აქედან გამომდინარე, რთულია იმის განსაზღვრა, ფეხბურთის ენა საყოველთაო ენაა, დარგობრივი თუ სპეციალური ენა.

მანფრედ ბუე მიიჩნევს, რომ ფეხბურთის

ენა არაა დარგობრივი ენა და მას თვლის სპეციალურ ენად. „Sportsprache ist die Sprache, die die Sportgemeinde bei dem Sport und im Gesprächen usw. über den Sport verwendet.“ [Bues 1953:22].

მიგვაჩნია, რომ დარგობრივი ენა არის ამა თუ იმ დარგის ფარგლებში დარგის სპეციალისტთა შორის ურთიერთგაგებინების საშუალება, კონკრეტული დარგობრივი ლექსიკური ერთეულების გამოყენებით. შესაბამისად, ამა თუ იმ დარგის ფარგლებში გამოყენებული ლექსიკური ერთეულები ერთიანდება დარგობრივ ლექსიკაში, დარგობრივ ტერმინოლოგიაში.

ამ ლოგიკას თუ გავყვებით, უნდა აღინიშნოს, რომ სპორტის დარგობრივ ენაში არის რამდენიმე სპეციალური ენა და რომ ფეხბურთის ენა სხვა სპორტის სახეობებთან ერთად სპორტის დარგობრივი ენის ერთ-ერთი შემადგენელი სპეციალური ენაა, რომელშიც, ისევე როგორც ყველა სპეციალურ ენაში, არაა მკვეთრი მიჯნა სპეციალურ ენასა და სპეციალურ სლენგს შორის, რაც გამოწვეულია არა მხოლოდ სპეციალისტების მიერ ამ კონკრეტული ენის გამოყენებით, არამედ იმით, რომ ფეხბურთის ენას გამოიყენებენ ასევე ფეხბურთის გულშემატკივრები, ფანები და კომენტატორები. ანუ, ფეხბურთის სპეციალური ენა შეიცავს როგორც ზოგადი ენის, ასევე დარგობრივი ენის და ფეხბურთის სპეციალური ენის ტერმინებს, ასევე სლენგსაც, რომლითაც ძირითადად ფეხბურთის ფანები სარგებლობენ. ფეხბურთის სპეციალური ლექსიკის/ტერმინების შედგენის საკითხი მჭიდროდ უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ფეხბურთი ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობაა. მრავალი საფეხბურთო ტერმინი ინტერნაციონალური მნიშვნელობისაა, რომლის გარეშეც ფეხბურთის სპეციალური ენა ძნელად წარმოსადგენია. თუმცა აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ფეხბურთის ენაში მრავალი ნასესხობებია, რომლებიც ენას ზოგადად ამდიდრებს და რომლებიც

იოლად მკვიდრდება ამა თუ იმ ენაში. ისიც აღსანიშნავია, რომ ხშირად ეს ტერმინები და ლექსიკური ერთეულები საზოგადოების ყველა ფენის მიერ წარმატებით გამოიყენება. ისინი ენაში მკვიდრდება როგორც ნეოლოგიზმები ან ინტერნაციონალიზმები, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ენისათვის. ფეხბურთის ენის ახალ ცნებათა უმრავლესობა ინგლისური წარმოშობისაა, თუმცა პატარა ჯგუფი ფრანგული ენიდანაც არის ნასესხები.

დასკვნა

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სპორტის ენა პროფესიული ენაა და იგი დარგობრივი ენის ნაწილია. ფეხბურთის სპეციალური ენა შერეული ტიპის ენაა, რომელსაც ორი ძირითადი ქვეკატეგორიის - სპეციალური (პროფესიული) ენისა და სპეციალური სლენგის ერთობლიობა ქმნის. ლოგიკური იქნება, თუ ქვეკატეგორიას ასევე მივაკუთვნებთ ფეხბურთის ენის სპეციალურ კორესპონდენციასაც, როგორც სპეციალურ წერილობით ენას და შესაბამისად, ასევე სპეციალურ ზეპირ ენასაც, დარგობრივი კომუნიკაციის განხორციელების მიზნით. ამდენად, ფეხბურთის სპეციალური ენა სამი შრისგან შედგება – საკუთრივ სპეციალური ენა, სლენგი და – საკომუნიკაციო ენა – ზეპირი და წერილობითი - კორესპონდენციის ენა.

ლიტერატურა

1. Fluck (1996): Fluck, H. – R., Fachsprachen. Tübingen und Basel.: A Franke Verlag 5. Auflage. 1996
2. Hoffmann (1985): Hoffmann L., Kommunikationsmittel Fachsprache. Eine Einführung. Günter Narr Verlag. Tübingen. 1985
3. Roelcke (2005): Roelcke T., Fachsprachen. 2. Durchgesehene Auflage. Berlin: Erich Schmidt Verlag GmbH&Co

4. Нелюбин (2005): Нелюбин Л.Л. Введение в технику перевода (когнитивный теоретико-прагматический аспект). Курс лекций. Английский язык. М.: МГОУ

5. მეტკლერის ენის ლექსიკონი (2005:98)

6. Skvortsov (1972): Skvortsov L. I., Literaturniy yazyk, prostorechie, zhargony i kultura rechi [Literary language, vernacular, jargons and standard of speech]. Russkaya rech – Russian speech, 1972, vol. 1, pp. 48–59 (in Russian)

7. Komarova (2004): Komarova A. I., Funktsionalnaya stilistika: nauchnaya rech. Yazyk dlya spetsialnykh tseley (LSP) [Functional stylistics: scientific speech. Language for special purposes (LSP)]. Moscow, Editorial URSS Publ., p. 192 (in Russian)

8. Солнышкина (2006): Солнышкина М. М., Тезаурус профессионального языка и его пополнение // Вестн. Волгоградского гос. ун-та. 2006. № 5

9. Анненкова (2012): Анненкова А. В., Понятие языка профессионального общения // Язык для специальных целей: система, функции, среда: сб. статей IV междунар. научн.-практ. конф., 11–12 мая 2012 г. / отв. ред. Е. Г. Баянкина. Курск

10. Фельд (2015): Фельде О. В., Профессиональные подязыки и терминологии русского языка как объекты научного изучения. Вестник ТГПУ (TSPU Bulletin). 2015. 4 (157)

11. Татаринцев (2006): Татаринцев В. А., Общее терминоведение. Энциклопедический словарь. М.: Московский лицей

12. Leychik (2006): Leychik V. M., Yazyki dlyaspetsialnykh tseley – funktsionalnye raznovidnosti sovremennykh razvitykh funktsionalnykh hyazykov [LSP – functional types of contemporary developed functional languages]. Obshchie i chastnye problemy funktsionalnykh stiley – General and particular problems of the functional styles. Moscow, pp. 28–43 (in Russian)

13. Haubrich, W. (1965) : Die Bildsprache des Sports im Deutsch der Gegenwart, Schorndorf

14. Valk Melvin (1935): Die Entwicklung der Deutschen Fussballsprache. In: Journal of English and Germanic Philology 34, s. 567–571

15. Dankert H. (1969): Sportsprache und Kommunikation. Tübingen

16. Bues M. (1953): Zum Begriff „Sportsprache“, in-Mutter-sprache 63

Classification of Specialized Languages and Professional Language of Football

Rusudan Tabukashvili

Georgian Technical University

Department of Foreign Languages

77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia

Tel.: 593 512 484

E-mail: r.tabukashvili@gmail.com

Tea Borchkhadze

Georgian Technical University

Department of Foreign Languages

77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia

Tel.: 599 107 244

E-mail: borchkhadze@yahoo.com

Abstract

Every language exists in one form or another. A language may have one or several forms of existence. The forms of the existence of languages are historically established separate systems that have different communicative status. A special language includes many different fields (art, medicine, technology, construction, sports, etc.).

The language of sports is a professional language and consists of sports slang. It is part of the specialized language, because many people use special concepts and change them with a certain purpose and quality in a certain dose or apply them in a specific language situation, which is characteristic to a specialized language. The language of football, along with other sports, is one of the constituent languages of the special language of sports, in which, as in all special languages, there is no clear boundary between the special language and special slang. Special language of football contains the terms of

general language, the specialized language, the special language of football and slang as well, which is mainly used by football fans and commentators.

Keywords:

specialized language, professional language, sub-categories, LSP Linguistics, sports language.

Классификация отраслевых языков и профессиональный язык футбола

Табукашвили Русудан Михайловна

Грузинский Технический Университет

Департамент иностранных языков

Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия

Tel.: 593 512 484

E-mail: r.tabukashvili@gmail.com

Борчхадзе Тея Давидовна

Грузинский Технический Университет

Департамент иностранных языков

Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия

Tel.: 599 107 244

E-mail: borchkhadze@yahoo.com

Резюме

Каждый язык имеет особенную форму, в каждом языке существуют одна или несколько языковых форм. Формы языка – это исторически созданные, различные друг от друга отдельные системы, которые имеют разный коммуникативный статус. Отраслевой язык вмещает в себе множество различных сфер (искусство, медицина, техника, строительство, спорт и т.д.).

Язык спорта является профессиональным языком и состоит из спортивных жаргонов, он часть отраслевого языка, так как отраслевые термины употребляют множества людей и меняют их по конкретным целям и в конкретных языковых ситуациях, что свойственно профессиональному языку.

ცენზურა და ლიტერატურა ტოტალიტარულ და პოსტ-ტოტალიტარულ საბჭოთა რუსეთში

ნინო ჯოხაძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ: 558 781 225
E-mail: niniko.jokhadze@yahoo.com

რეზიუმე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელიც ერთპარტიულ იდეოლოგიაზე, მარქსიზმსა და ბოლშევიზმზე იყო დამყარებული, მკაცრი ცენზურით გამოირჩეოდა როგორც საზოგადოების, ასევე თავად ცენზორების მიმართ, რაც ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური რეპრესიების საწინდარი იყო. კომუნისტური პარტიის მიერ გამოცხადებული საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეოლოგიური ერთიანობა თავისთავად გამორიცხავდა იდეოლოგიურ პლურალიზმს.

სტატიაში განვიხილავთ საბჭოთა რუსეთში არსებულ ლიტერატურულ ცენზურას ტოტალიტარიზმისა და პოსტ-ტოტალიტარიზმის პერიოდში და მის გავლენას ლიტერატურულ შემოქმედებაზე.

საკვანძო სიტყვები:

ცენზურა, ლიტერატურა, საბჭოთა რუსეთი, ტოტალიტარიზმი, პოსტ-ტოტალიტარიზმი.

შესავალი

საბჭოთა ცენზურა, განსაკუთრებით 1924-1953 წლებში, ყოველთვის განიხილებოდა როგორც ტოტალიტარული ძალაუფლების

უკიდურესად რეაქტიული გამოვლინება. იგი შეიქმნა პარტიის მკაცრი ხელმძღვანელობისა და კონტროლის პირობებში და წარმოადგენდა კომუნისტური იდეოლოგიისა და საბჭოთა კულტურული პოლიტიკის ნაწილს, რომელიც პარტიულ-სახელმწიფოებრივი და ცენზურის ორგანოების დახმარებით ხორციელდებოდა. სსრკ-ს ტოტალიტარულ რეჟიმში ცენზურას ჰქონდა უკანონო, სადამსჯელო და საშიში ხასიათი.

საბჭოთა ცენზურის პოლიტიკა სხვა ტოტალიტარული სახელმწიფოების მსგავსად წარმოიშვა ე. წ. “მეურვეობის პოლიტიკიდან” – ქვეყნის ხელმძღვანელობა თავად განსაზღვრავდა საკუთარი მოქალაქეების საჭიროებებს. ცენზურის საშუალებით, ხელისუფლება ცდილობდა საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებას და მის გარკვეულ ჩარჩოებში შენარჩუნებას, რაც თავისთავად გულისხმობდა გამოსატვის თავისუფლების შეზღუდვის უმაღლეს დონეს.

სსრკ-ში ცენზურა ახორციელებდა, როგორც ინფორმაციის, ასევე ლიტერატურული და მხატვრული შინაარსის ბეჭდური გამოცემების გავრცელების მონიტორინგს. პ. პეჩკოვსკი სტატიაში “ცენზურა პრესაში. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის ისტორია საბჭოთა რუსეთში” აღნიშნავს, რომ საბჭოთა ცენზურას ბევრად მეტი ფუნქციები ჰქონდა, ვიდრე კონსტიტუციით განსაზღვრული სახელმწიფო საიდუმლოებისა და მუშათა ინტერესების დაცვა იყო. მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანი, რეალობის შესახებ ნებისმიერი სახის მოგონების წაშლის ხარჯზე, ხალხის ახალი, კოლექტიური მეხსიერების შექმნა იყო. ისტორიიდან გამორიცხული იყო ყველაფერი, რაც არ შეესაბამებოდა საბჭოთა იდეოლოგიას და რაც მიუღებელი იყო რეჟიმისათვის. ცენზურამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა

რეჟიმის პროპაგანდაში, მისთვის მისაღები ინფორმაციის გაგრძელებასა და ახალი საბჭოთა რეალობის შექმნაში [Печковский 2015].

ძირითადი ნაწილი

საბჭოთა რუსეთში, ბეჭდვისათვის განკუთვნილი მასალის შინაარსის შესაბამისობას სახელმწიფოებრივ იდეოლოგიასთან, ძირითადად სამი ინსტიტუცია აკონტროლებდა. 1919 წლის 20 მაისს შექმნილი სახელმწიფო გამომცემლობა - სახელგამი (რუს.: Госиздат), 1922 წლის 6 ივნისს შექმნილი, განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარი სამმართველო – მთავლიტი (რუს. Главлит) და 1923 წლის 9 თებერვალს შექმნილი რეპერტუარის გენერალური კომიტეტი – მთავრეპერტკომი (რუს. Главрепертком).

აღნიშნული სამი ინსტიტუციიდან ყველაზე დიდი უფლებამოსილება მთავლიტს ჰქონდა, მას შეეძლო ნებისმიერი სახის პუბლიკაცია თუ საშემსრულებლო ხელოვნება წინასწარი ცენზურისათვის დაექვემდებარებინა. ეს იყო გზა, რომლის საშუალებითაც სამთავრობო ორგანო აკონტროლებდა ლიტერატურული ნაწარმოებების შინაარსს და მათ განაწილებას, რაც გამოიხატებოდა ტექსტის არასასურველი ფრაგმენტების ამოჭრაში, ახალ რედაქციაში, ავტორის ჩანაფიქრის დამახინჯებით გადმოცემასა და ნაწარმოების დუბლირებისა და განაწილების (შენახვის) აკრძალვაში. მთავლიტის მკაცრი ავტორიტეტი არა მხოლოდ სსრკ-ს, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა ოკუპირებულ ქვეყანას მოიცავდა.

1931 წლის რეგლამენტით, მთავლიტმა შემოიღო როგორც წინასწარი, ასევე შემდგომი ანუ სადამსჯელო ცენზურა, რომელიც პარტიის კონტროლის ქვეშ იყო. ახალი ევროპული ისტორიის მკვლევარი როჯერ

მარქვიკი სტატიაში “ისტორია და შიში: საბჭოთა კავშირის ისტორიული კვლევა” ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მთავლიტმა ჩამოაყალიბა ცენზურის ორმაგი მიდგომა გამოსაქვეყნებელი მასალის მიმართ: ერთი მხრივ ეს იყო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მიდგომა, რომელიც მოიცავდა ჯარიმებს, დევნას ან “მტრულად განწყობილი” გამომცემლობების დახურვას, მეორე მხრივ კი ეს იყო იდეოლოგიური მიდგომა, რომელიც ახდენდა გავლენასა და ზეწოლას რედაქტორებზე, რაც თანამდებობაზე “შესაბამისი” ადამიანების მოხსნა-დანიშვნასაც მოიცავდა [Markwick 2016].

ტოტალიტარიზმის პერიოდში, იოსებ სტალინის მმართველობის დროს (1922-1953 წწ.), რეჟიმმა ლიტერატურული გამოხატულება სოციალისტური რეალიზმის საშუალებით დაარეგულირა. 1937-1938 წლებში, სტალინის “დიდი ტერორის” პერიოდში განადგურდა ინტელექტუალთა დიდი ნაწილი. მეცნიერები, მხატვრები, პოეტები და მწერლები, რომლებიც საკუთარ თავს დისიდენტებად არ თვლიდნენ, მაგრამ რომელთა ნაშრომებიც საბჭოთა ცხოვრებისათვის კრიტიკულად გამოიყურებოდა, სისტემატიურად იდევენდობდნენ. ხდებოდა მათი სახელმწიფო მტრებად გამოცხადება, დაპატიმრება, სადამსჯელო, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გამწესება ან დახვრეტა.

აღნიშნულ პერიოდში შეიცვალა ცენზურის პოლიტიკაც. თუკი ადრე წიგნების შინაარსი, პარტიულ პოლიტიკასთან იდეოლოგიური განსხვავების გამო, კონტროლდებოდა, სტალინის პერიოდიდან წიგნის გამოქვეყნება დამოკიდებული იყო ავტორის ვინაობაზე. “ხალხის მტრების” სიაში მყოფი ავტორების ნაწარმოებები დაუყოვნებლივ ამოიღებოდა ბიბლიოთეკებიდან, იკრძალებოდა მათი გამოქვეყნება და აღნიშნული ავტორების სახელების ხსენებაც კი. რეპრესირებულნი იყვნენ თავად ცენზორებიც.

ავსტრალიელი ისტორიკოსი შეილა

ფიტსპატრიკი სტატიაში “კულტურა და პოლიტიკა სტალინის მმართველობის პერიოდში: გადაფასება” წერს, რომ იოსებ სტალინის მმართველობის პერიოდში პარტია, სახელმწიფო სტრუქტურის რანგში, რეპრესიულ ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით მოქმედებდა. იგი ინფორმაციის გავრცელების მარეგულირებელ ჯაჭვში განმსაზღვრელი რგოლი იყო. დიქტატორის აბსოლუტური ძალაუფლების საშუალებით, როგორც პარტიის, ასევე სახელმწიფოს პერსონალურ მართვას თავად სტალინი ახორციელებდა. პარტია ცდილობდა კულტურის ყველა მიმართულებაში გამოკვეთილიყო “პარტიის ხაზი”, რაც წარმატებით გამოსდიოდა კიდევ [Fitzpatrick 1976].

სტალინის მმართველობის შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით ლეონიდ ბრეჟნევის (1964-1982 წწ.) ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, დაიწყო ტოტალიტარიზმის ლიბერალიზაცია ანუ პოსტ-ტოტალიტარიზმის პერიოდი. ეს გამოიხატა რეპრესიების შესუსტებაში, ჰუმანისტური ღირებულებების დამკვიდრებაში, ადამიანის უფლებებისათვის და ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ მოძრაობების ჩამოყალიბებაში. თუმცა ლ. ბრეჟნევის “სტაგნაციის ეპოქის” ცენზურა კვლავ იყო საბჭოთა პროპაგანდის ინტეგრალური ელემენტი, რომელიც კვლავ ეფექტურად ასრულებდა დამცავ ფუნქციას. აღნიშნულ პერიოდში მთავლიტის მთავარი ფუნქცია არა სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოებების დაცვა, არამედ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური გადაწყვეტილებების განხორციელება იყო.

მთავრობა ცდილობდა დიალოგი დაემყარებინა ინტელიგენციასთან, თუმცა ცენზურის ფორმები და მეთოდები კვლავ შიდა პოლიტიკური გარემოებებით იყო ნაკარნახევი. ლიტერატურული პროდუქცია დაიყო ოფიციალურ, ცენზურის დაქვემდებარებაში არსებულ, კონტროლირებად ლიტერატურად და არაოფიციალურ, “ტამიზდატისა”^{*} და

“სამიზდატისა”^{**} მეშვეობით გავრცელებულ ლიტერატურად.

“სტაგნაციის ეპოქაში” ცენზურის ორგანოები გარდაიქმნა ზედამხედველობით ორგანოებად, რამაც მნიშვნელოვნად შეასუსტა მთავლიტის ავტორიტეტი. თუმცა მთავლიტმა მაღევე დაიბრუნა თავისი ფუნქცია, საზოგადოებაში იდეოლოგიის გავრცელებისა და კონტროლის თვალსაზრისით. მთავლიტის პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებები განპირობებული იყო პარტიის სტრატეგიით, რაც მთავრობისა და საზოგადოების ურთიერთობაში ზოგად ტრანსფორმაციას გულისხმობდა. პარტია სტალინის მოდელისგან დაშორებას და ცენზურის ინსტიტუტის მოდერნიზაციას ცდილობდა, თუმცა არ კარგავდა კულტურის გამკონტროლებლის მთავარ როლს.

აღნიშნული მოდერნიზაციის შედეგად გაიზარდა რედაქტორების პასუხისმგებლობა. როგორც რუსი ისტორიკოსი ტატიანა გორიაევა თავის წიგნში “პოლიტიკური ცენზურა სსრკ-ში 1917-1991 წწ.” წერს, ამ პერიოდში ყველა სახის წინასწარ ცენზურას ახორციელებდა რედაქცია. ის იყო პასუხისმგებელი ინფორმაციისა თუ მხატვრული პროდუქციის საზოგადოებისთვის მიწოდებაზე და მათ გამოქვეყნებამდე ყველა კონფლიქტური სიტუაციის გადაწყვეტაზე. პარტიამ შეინარჩუნა გადაწყვეტი, მაკონტროლებელი და მარეგულირებელი ფუნქციები იდეოლოგიის სფეროში, შემდგომი კონტროლის მეორეხარისხოვანი ფუნქცია კი სახელმწიფო ცენზურის ორგანოების ხელში დარჩა [Горяева 2009: 350].

საზოგადოების ინფორმირებისა და კონტროლის არსებული მეთოდებით პარტია იდეოლოგიის მაქსიმალურ მონოპოლიზაციას ახდენდა, აშინებდა მათ, ვისაც ცვლი-

აზე არალეგალურად განაწილებული წიგნები. ზღისიდენტური საქმიანობის ეფექტური ფორმა საბჭოთა კავშირში, გამომცემლობა, რომლის საშუალებითაც ფარულად ხდებოდა აკრძალული ლიტერატურის გავრცელება

* სსრკ-ს გარეთ გამოქვეყნებული და მის ტერიტორი-

ლებების სჯეროდან, მათ კი, ვინც წინააღმდეგი იყო, აძევებდა ან აიძულებდა ემიგრაციაში წასულიყვნენ. მეთ ნიუთი სტატიაში “აკრძალული წიგნები და გაზეთები” ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ტოტალიტარულ და პოსტ-ტოტალიტარულ საბჭოთა ცენზურას მკაფიო საკანონმდებლო ჩარჩო არ გააჩნდა. იგი ძირითადად ბელადებისა თუ სხვა ზემდგომი პირების პირადი შეხედულებების მიხედვით იმართებოდა. კომუნისტური პარტიის დიქტატორული პოლიტიკისა და რეჟიმისთვის “საჭირო” პირების მფარველობით შექმნილი ბიუროკრატიული გარემო არ გამორიცხავდა ნებისმიერი ნამუშევრის იდეოლოგიურად მანე, რეჟიმისათვის მიუღებელ ნაწარმოებად გამოცხადებას [Newth 2002]. საბჭოთა ცენზურის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება უსაფრთხოების სააგენტოებთან თანამშრომლობა იყო. სსრკ-ს საბაჟო და “ჩეკა” ყურადღებით აკონტროლებდა წიგნების, ჟურნალების (ასევე სხვა ბეჭდური მასალების), აუდიო და ვიდეო მასალების უცხოეთიდან შემოტანის ყველა მცდელობას და აწესებდა სანქციებს.

პ. პეჩკოვსკი სტატიაში “ცენზურა პრესაში, როგორც საბჭოთა რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის ელემენტი ინფორმაციის უსაფრთხოების სფეროში” აღნიშნავს, რომ დირექტივები კლასიფიცირებული იყო, როგორც “საიდუმლო”, “შეკრძალული საიდუმლო” და “სასწრაფო”. ნებისმიერი დარღვევა კონტროლდებოდა მაღალ ეშელონებში, სანქციებს კი ადმინისტრაცია აწესებდა, რომლებიც კომუნისტური პარტიის აპარატის მიერ გამოტანილ განაჩენებს წარმოადგენდნენ და საერთო არაფერი ჰქონდათ სასამართლოს მიერ დაწესებულ ლეგალურ სანქციებთან [Печковский 2015]. მთავლიტის ბრძანებებისა და მითითებების გათვალისწინება სავალდებულო იყო ყველა მინისტრისათვის, დეპარტამენტისათვის, პრესისა და სხვა ორგანიზაციებისათვის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნებისმიერი ინფორმაციის პუბლიკაცია,

რომელიც გამოავლენდა ცენზორების მუშაობის მეთოდებსა და ფორმებს, აკრძალული იყო.

ტ. გორიაევა აღნიშნავს, რომ საყოველთაო პოლიტიკური ცენზურის სისტემაში შედიოდა იდეოლოგიური და პოლიტიკური კონტროლის სხვადასხვა ფორმა და როგორც პირდაპირი (გამოქვეყნების აკრძალვა, ცენზურა, ხელნაწერთა უარყოფა), ასევე არაპირდაპირი მეთოდი (მაგალითად. პერლუსტრაცია – პირადი კორესპონდენციის საიდუმლოდ შემოწმება) [Оряева 2009: 8].

ლიტერატურული შემოქმედების შეფასება საბჭოთა კავშირში პარტიასთან დაახლოებული პირების მიერ ხდებოდა. აღნიშნული პირები, გარკვეულ შემთხვევაში, ლიტერატურათმცოდნეები და ლიტერატურული კრიტიკოსები იყვნენ, ზოგ შემთხვევაში კი პირები, რომლებსაც ლიტერატურასთან არანაირი შეხება არ ჰქონდათ, მაგალითად, პარტიული მუშაკები. ლიტერატურული ნაწარმოებებისა და მათი ავტორების ბედს სწორედ მათი კრიტიკა და პირადი შეხედულებები განსაზღვრავდა. თუკი ისინი ლიტერატურულ ნაწარმოებს საზოგადოებისათვის შეუსაბამო ნაწარმოებად აღიქვამდნენ, ნამუშევარი ამოღებული იქნებოდა გაყიდვიდან თუ ბიბლიოთეკის საცავებიდან და სპეცსაცავში განთავსდებოდა, დღის შუქს კი მხოლოდ რეჟიმის დასრულების შემდეგ იხილავდა. რაც შეეხება ავტორს, იგი რეპრესიებისა თუ სხვადასხვა სანქციის (დისკრედიტაცია, აკრძალვა) მსხვერპლი ხდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ავტორის უფლებების ცნება საბჭოთა კავშირში არ არსებობდა.

საბჭოთა ცენზურა დაკავშირებული იყო სოციალურ, სექსუალურ და რელიგიურ ძალაუფლებასთან. ოღვა სინიციხა სტატიაში “ცენზურა საბჭოთა კავშირში და მისი კულტურული და პროფესიული შედეგები ხელოვნებასა და ხელოვნების გაღერებისათვის” გამოყოფს იმ ძირითად მიზეზე-

ბს, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ ნაწარმოების აკრძალვის საქმეში: პოლიტიკური მიზეზები (საბჭოთა კავშირის კრიტიკა, კონკრეტული პოლიტიკური ორგანოებისა და მოღვაწეობის შესახებ არასასურველი ინფორმაციის გავრცელება), ავტორის პოლიტიკური არასაიმედოობა, არასასურველი ფაქტი ან მოვლენა ტექსტში, აკრძალული ლიტერატურა (არაოფიციალური საბჭოთა ხელოვნება), ფაშიზმის, ძალადობის ან ტერორის პროპაგანდა, პორნოგრაფია და საბჭოთა რეჟიმისათვის არასასურველი აზრების, ასოციაციების ან ილუზიების გამომწვევი თემების, საგნების, ფაქტების ან მოვლენების შეტანა ტექსტში [Sinitsyna 1998].

საბჭოთა რეჟიმი ცდილობდა შეექმნა სრულიად ახალი – საბჭოთა კულტურა, ლიტერატურა კი ამ “ახალი კულტურის” შექმნის საქმეში მთავარ როლს თამაშობდა. ხელისუფლება ცდილობდა პარტიული იდეოლოგია მწერლების საშუალებით გაეგრძელებინა. სტალინი საბჭოთა ხელოვნების წარმომადგენლებს ახალი საბჭოთა ადამიანის “სულის ინჟინრებს” უწოდებდა. სწორედ ახალი საბჭოთა ადამიანის სულიერ სამყაროზე ზრუნვის მიზნით, მწერალთა გარკვეული ნაწილი სწორედ პარტიის იდეოლოგად და ავტორად ჩამოყალიბდა. ლიტერატურის თეორიისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის დოქტორი ვლადიმერ ლუარსაბიშვილი სტაგიაში, “აკრძალული სიტყვა: სტალინის პერიოდის ლიტერატურულ ცენზურასთან მიახლოება” ამბობს, რომ სტალინის პერიოდში, კომუნისტური პარტიის მიერ განსაზღვრული იყო დასაწერი ნაწარმოებების რაოდენობა. სისტემისთვის მნიშვნელოვანი იყო არა ნაწარმოების ხარისხი, არამედ, მათი რაოდენობა. მწერლებს განგებ დაბალი ჰონორარი ჰქონდათ დაწესებული სახელმწიფოს მიერ, რათა წერა არ შეეწყვიტათ და ტოტალიტარული სახელმწიფოს მუდმივ სამსახურში ყოფილიყვნენ [Luarsabishvili 2012].

საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის განმავლობაში, ხანგრძლივი პერიოდი მწერლების მიერ რეჟიმთან ადაპტაციის მცდელობებს ეთმობოდა. მათ შეიმუშავეს შინაგანი ცენზურა თვითკონტროლისათვის, რასაც შემდგომში თვითცენზურა მოჰყვა. მწერლები მკითხველთან კომუნიკაციის დასამყარებლად ეზოპეს ენას* იყენებდნენ, იმედოვნებდნენ რა, რომ მკითხველი შეძლებდა მათ მიერ დაწერილი ნაწარმოებების სტრიქონებს შორის ფარული აზრის ამოკითხვას და რთული აღუზიების გაშიფვრას.

საბჭოთა პერიოდის რუსულ ლიტერატურაში ნათლად შეინიშნებოდა ავანგარდისტული ტენდენციები. ავანგარდიზმი, რომელიც აერთიანებდა სხვადასხვა მიმდინარეობებს: ფოვიზმს, კუბიზმს, ფუტურიზმს, ექსპრესიონიზმს, სიმბოლიზმს, ნეოპრიმიტივიზმს, სუპერმატიზმს, კონსტრუქტივიზმს, სიურრეალიზმს, იმპუნიზმს**, ნიჟეოკიზმს***, აკმეიზმს**** და ა. შ. საბოლოოდ უარყოფდა მანამდე არსებულ კულტურულ ტრადიციებს. ავანგარდული პოეზიის განვითარების ყველა ძირითადი ვექტორი: სიტყვათქმნადობა, რიტმისა და რითმის განახლება, თავისუფალი სინტაქსი, ფერწერული ელემენტებისა და არავერბალური ნიშნების (მუსიკალური ნიშნები) დანერგვა ლექსში, სემანტიკური ცვლილებები, უნივერსალური ენის შე-

* ლიტერატურული ფორმა, რომლის საშუალებითაც ცენზურისათვის მიუღებელ შინაარსს ავტორი ფარული, იგავურად ნათქვამი აზრის მეშვეობით გამოხატავს და ამ სახით მიაქვს სათქმელი მკითხველამდე. ეზოპეს ენა არის შესაძლებლობა ავტორისათვის “ისაუბროს სტრიქონებს შორის”, მკითხველისათვის კი – “იკითხოს სტრიქონებს შორის”, აღნიშნული ლიტერატურული ენა გამოიყენებოდა მკაცრად ცენზურირებულ საზოგადოებებში.

** 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, რუსი ავანგარდისტი პოეტების მიერ ჩამოყალიბებული პოეტური მიმდინარეობა, რომლის მიხედვითაც, შემოქმედების მიზანი, მხატვრული სახის შექმნაში მდგომარეობდა.

*** 1920 წლის დასაწყისში ჩამოყალიბებული რუსული ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელიც დადასტურების ცნობილი ევროპული ჯგუფის რუსული გამოძახილი იყო.

**** 1920-იან წლებში ჩამოყალიბებული რეაქციული დეკადენტური მიმდინარეობა რუსულ ლიტერატურაში, რომელიც ინდივიდუალიზმს ქადაგებდა.

ქმნა 1920-იანი წლების პირველ ნახევარში დაინერგა და 1930-იან წლებამდე აქტიურად გამოიყენებოდა. ცნობილ რუს ავანგარდისტთა შორის იყვნენ: ვ. მაიაკოვსკი, ს. ესენინი, მ. ცვეტაევა, ბ.პასტერნაკი, ა.პლატონოვი, მ.ზოშჩენკო, მ.შოლოხოვი, ა.ახმატოვა, მ.ბუღაკოვი და ა. შ.

აღსანიშნავია ასევე რუსული რეალიზმი. იგი მოიცავდა კრიტიკულ რეალიზმს, რომელიც აგრძელებდა XX საუკუნის ტრადიციებს და მოვლენათა სოციალურ ბუნებას უსვამდა ხაზს (ა.ჩეხოვი და ლ.ტოლსტოი), სოციალისტურ რეალიზმს, რომელიც რეალობას ისტორიულ და რევოლუციურ კონტექსტში აღწერდა (მ. გორკი, საბჭოთა მწერლების უმეტესობა), მითოლოგიურ რეალიზმს, რომელიც რეალობის ინტერპრეტაციას მითოლოგიური პრიზმიდან ახდენდა (ლ.ანდრეევი) და ნატურალიზმს, რაც რეალობის მაქსიმალურად დამაჯერებლად და დეტალურად ასახვას გულისხმობდა (ა.კუპრინი, ვ. ვერეზაევი).

საბჭოთა ლიტერატურისათვის მკვეთრად დამახასიათებელი სოციალისტური რეალიზმი, რომელსაც “ოპტიმისტურ ტრაგედიას” (ვ. ვიშნევსკის პიესის სახელწოდება) ან “რევოლუციურ რომანტიზმს” უწოდებდნენ, ხელოვნების ნიმუშის ოპტიმისტურ ხასიათს მოითხოვდა, რაც პროგრესის კომუნისტური რწმენის პირველ პლანზე წამოწევა და მძიმე სოციალური პირობების, შიშის, ტერორისა და რეპრესული რეალობის დათრგუნვას ემსახურებოდა. ავტორი ქმნიდა გმირის პოზიტიურ სახეს, რომელიც წარმოადგენდა მებრძოლს, მშენებელს ან ლიდერს და რომლის საშუალებითაც ავტორი კომუნისტური იდეების გამარჯვების რწმენას განამტკიცებდა. არსებული წესრიგის რაიმე სახის კრიტიკა, დაწესებული ჩარჩოების გადახვევა, ახალი ლიტერატურული ფორმების დანერგვა და გამოყენება როგორებიცაა ირონია და სატირა, სრულიად უცხო და მიუღებელი იყო სოციალისტური

რეალიზმისათვის. აღნიშნული მიმდინარეობის წარმომადგენელთა შორის გამოირჩეოდნენ: მ.გორკი (სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი), ა.ფადეევი, ვ.ვიშნევსკი, ა.ზეგერსი, მ.შოლოხოვი, კ.ფედინი, დ. ფურმანოვი და სხვები.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა რუსეთში ტოტალიტარიზმის პერიოდის მკაცრმა ცენზურამ, ლ.ბრეჟნევის პოსტ-ტოტალიტარიზმის პერიოდში იდეოლოგიური სახე მიიღო, შეზღუდვები გარკვეულწილად შემსუბუქდა, თუმცა ცენზურა არსებობას განაგრძობდა. საბჭოთა კავშირში გამოქვეყნებული ლიტერატურული ნაშრომების უმრავლესობა სოციალისტური რეალიზმის ნიმუშები იყო, რომლებიც არ გამოირჩეოდნენ მაღალი მხატვრული ღირებულებით, სხვა სახის ლიტერატურა კი თითქმის არ იქმნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ავტორები სხვადასხვა ლიტერატურულ ხერხებს იყენებდნენ სათქმელის მკითხველამდე მისატანად, რაც ეზოპეს ენაში, თარგმნილ წყაროებსა და სხვა მეთოდებში გამოიხატებოდა, ყოველივე აღნიშნული არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ საბჭოთა ლიტერატურას მსოფლიო ლიტერატურაში ღირსეული ადგილი დაეკავებინა.

ლიტერატურა

1. Горяева Т.(2009): “Политическая Цензура в СССР 1917-1991 гг.”, РОССПЭН. Москва
2. Печковский П.В.(2015): “Цензура в печати. История ограничения доступа к информации в советской России”.Cyberleninka <https://cyberleninka.ru/article/n/tsenzura-v-pechati-istoriya-ogranicheniya-dostupa-k-informatsii-v-sovetskoy-rossii>

3. Печковский П.В.(2015): "Цензура в печати, как элемент государственной политики в области информационной безопасности советской России". Cyberleninka

<https://cyberleninka.ru/article/n/tsenzura-v-pechati-kak-element-gosudarstvennoy-politiki-v-oblasti-informatsionnoy-bezopasnosti-sovetskoj-rossii>

4. Fitzpatrick S.,(1976): "Culture and Politics under Stalin: A Reappraisal" JSTOR

https://www.jstor.org/stable/2494589?Search=yes&resultItemClick=true&searchText=censorship&searchText=in&searchText=soviet&searchText=union&searchUri=%2Faction%2FdoBasicSearch%3FQuery%3Dcensorship%2Bin%2Bsoviet%2Bunion&ab_segments=0%2Fbasic_SYC-5187%2Ftest&refreqid=search%3A607b935a6f10dab134774c52each5395&seq=1

5. Luarsabishvili V.(2012): "La palabra prohibida: aproximación a la censura literaria en el régimen stalinista". Dialnet <https://dialnet.unirioja.es/servlet/articulo?codigo=3904946>

6. Markwick R. D.(2016): "Censorship and Fear: Historical Research in the Soviet Union". Semantic Scholar

<https://www.semanticscholar.org/paper/Censorship-and-Fear%3A-Historical-Research-in-the-Markwick/a1ef57859660e-33135815146c514ead38070d488>

7. Newth M.(2002): "Forbidden Books and Newspapers". Beacon for freedom of expression

http://www.beaconforfreedom.org/liste.html?tid=415&art_id=555

8. Sinitsyna O.(1998): "Censorship in the Soviet Union and its Cultural and Professional Results for Arts and Art Libraries". Origin-archive.ifla

<http://origin-archive.ifla.org/IV/ifla64/067-101e.htm>

Censorship and Literature in Totalitarian and Post-totalitarian Soviet Russia

Nino Jokhadze

Tbilisi State University

Faculty of Humanities

36 Chavchavadze Ave., 0179, Tbilisi, Georgia

Tel: 558 781 225

E-mail: niniko.jokhadze@yahoo.com

Abstract

The Union of Soviet Socialist Republics, which was based on one-party ideology, Marxism and Bolshevism, was marked by severe censorship of both society and the censors themselves. Soviet censorship was often a prelude to the political repression. The socio-political and ideological unity of the society proclaimed by the Communist Party precluded ideological pluralism in itself. In this article, we discuss the literary censorship in Soviet Russia during the period of totalitarianism and post-totalitarianism and its impact on literary creation.

Keywords:

censorship, literature, soviet Russia, totalitarianism, post-totalitarianism.

Цензура и литература в тоталитарной и посттоталитарной Советской России

Джохадзе Нино Омаровна

Тбилисский государственный университет

Факультет гуманитарных наук

Пр. И. Чавчавадзе N 36, 0179, Тбилиси, Грузия

Тел .: 558 781 225

E-mail: niniko.jokhadze@yahoo.com

Резюме

Союз Советских Социалистических Республик, основанный на однопартийной идеологии, марксизма и большевизма, отличался жестокой цензурой как общества, так и самих цензоров. Советская цензура часто была прелюдией к политическим репрессиям. Социально-политическое и идейное единство общества, провозглашенное коммунистической партией, само по себе исключало идеологический плюрализм. В статье мы обсуждаем литературную цензуру в Советской России в период тоталитаризма и посттоталитаризма и ее влияние на литературное творчество.

Ключевые слова:

цензура, литература, Советская Россия, тоталитаризм, посттоталитаризм.

ავტორები

- ციური ახვლედიანი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი
- თეა ბორჩხაძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, უფროსი მასწავლებელი
- რუსუდან გოცირიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ოქსფორდის საუნივერსიტეტო საზოგადოების ასოცირებული წევრი
- მარინა ზორანიანი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ია ჩიქვინიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი
- რუსუდან თაბუკაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
- ნინო ჯოსაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების დოქტორანტი
- გიორგი ყუფარაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ჟურნალის რედკოლეგია

- მაია ჩხეიძე** – საქართველოს უნივერსიტეტის ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- რუსუდან თაბუკაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
- ია ჩიქვინიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი
- ჰანს რუდიგერ ფლუკი** – ბოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
- კულპაშ ბებიტოვა** – ვერაზის გუმილიოვის სახ. ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (ქ. ასტანა)
- ტანია გრისჰამერი** – ფილოლოგიის მაგისტრი (DAAD)
- მარია მიხაილოვა** – მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსი
- სილვია ბოტევა** – სოფიის წმინდა კლემენტ ოპრიდელის სახელობის უნივერსიტეტი, რომანიული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ტატიანა მეგრელიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ალბა გრაციანო** – იტალიის ქ. ტუმას უნივერსიტეტი, ენების ცენტრის დირექტორი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი
- ალესანდრა სპადაფორა** – იტალიის ქ. ტუმას უნივერსიტეტი, ენების ცენტრი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- რუსუდან გოცირიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ოქსფორდის საუნივერსიტეტო საზოგადოების ასოცირებული წევრი
- ბელა საბეიშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანიული ფილოლოგიის კათედრის გამგე
- ალექსანდრე კარტოზია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტის (ოდერის ფრანკფურტი) მოწვეული პროფესორი

Редколлегия журнала

Майя Чхеидзе – Грузинский университет, руководитель департамента европейских языков и филологии, доктор филологических наук, профессор

Русудан Табукашвили – Грузинский технический университет, департамент иностранных языков, академический доктор филологии, профессор

Ия Чиквинидзе – Грузинский технический университет, департамент иностранных языков, академический доктор филологии

Ганс Руддигер Флук – Профессор Бохумского университета, доктор филологических наук, профессор

Кульпаш Бейбитова – Профессор национального университета Евразии им. Гумилева (г. Астана), доктор филологических наук

Таня Грисхаммер – Магистр филологии (DAAD)

Мария Михайлова – Московский государственный университет им. М. Ломоносова, доктор филологических наук, профессор, академик Российской Академии Естественных Наук (РАЕН)

Сильвия Ботева – Софийский университет им. Святого Клементя Охридского, руководитель департамента романской филологии, профессор

Татьяна Мегрелишвили – Грузинский технический университет, департамент иностранных языков, доктор филологических наук, профессор

Альба Грациано – Университет г. Туша (Италия), директор центра языков, профессор

Алессандра Спадафора – Университет г. Туша (Италия), доктор филологии, ассоциированный профессор центра языков

Русудан Гоциридзе – Грузинский технический университет, департамент иностранных языков, академический доктор филологии, профессор, ассоциированный член Оксфордского Университетского Общества

Бела Хабеишвили – Грузинский Государственный Университет им. Иванэ Джавахишвили, доктор филологических наук, профессор, руководитель кафедры романской филологии, факультет гуманитарных наук

Александр Картозия – Грузинский Государственный Университет им. Иванэ Джавахишвили, доктор филологических наук, профессор, приглашенный профессор европейского университета Виадрины (Франкфурт на Одере)

Scripta manent

Editorial board

Maia Chkheidze – Head of the European Languages and Philology Department of Georgian University, Doctor of Philological Science, Professor

Rusudan Tabukashvili – Georgian Technical University, the department of foreign languages, Academic Doctor of Philology, Professor

Ia Chikvinidze – Georgian Technical University, the department of foreign languages, Academic Doctor of Philology

Hans Rudiger Fluck – Professor of the Bokhums' University, Doctor of Philological Science

Kulpash Beibitova – Gumilev's National Eurasian University (Astana), Doctor of Philological Science, Professor

Tanya Griskhamer – Master of Philology (DAAD)

Maria Mikhailova – Moscow's State University, doctor of Philological Science, the academician of Russian Academy on the Nature Study (RANS)

Sylvia Boteva – Sofia's University of Holy Klement Okhridsky, the leader of the romanian philology department, professor

Tatiana Megrelishvili – Georgian Technical University, Department of foreign languages, Doctor of Philological Science, Professor

Alba Graziano – University of Tuscia, Italy, Language Center Director, Professor

Alessandra Spadafora – University of Tuscia, Italy, Language Center, Doctor of Philology, Associated Professor

Rusudan Gotsiridze – Georgian Technical University, the department of foreign languages, Academic Doctor of Philology, professor, the associate member of Oxford's University Society

Bela Khabeishvili – Tbilisi's State University, Doctor of Philology, Professor, Faculty of Humanitarian Sciences, Head of the Department of the Romanian Philology

Aleksander Kartoza – Tbilisi's State University, Doctor of Sciences in Philology, Professor, European University Viadrina (Frankfurt on the Oder), invited Professor